

# სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“

## ფინანსური ანგარიშგება

*2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

## შინაარსი

### დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

#### ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4

#### ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა.....	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	19
5. რეკლასიფიკაცია.....	20
6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	21
7. საბანკო ანაზღაურებები.....	22
8. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები.....	22
9. სადაზღვევო ხელშეკრულებები.....	24
10. გადასახადები.....	27
11. სხვა აქტივები.....	28
12. საკუთარი კაპიტალი.....	28
13. სხვა ვალდებულებები.....	28
14. ინვესტიციის შედეგი.....	29
15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	29
16. რისკის მართვა.....	29
17. სამართლიანი ღირებულების შეფასება.....	38
18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	39



შპს იუაი  
საქართველო, 0105, თბილისი  
კოტე აფხაზის ქუჩა 44  
ტელ: +995 (32) 215 8811  
www.ey.com/ge  
www.facebook.com/EYGeorgia

EY LLC  
44 Kote Abkhazi street  
Tbilisi, 0105, Georgia  
Tel: +995 (32) 215 8811  
www.ey.com/ge  
www.facebook.com/EYGeorgia

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „სადაზღვევო კომპანია ტაოს“ აქციონერსა და სამეთვალყურეო საბჭოს

### მოსაზრება

ჩავატარეთ სს „სადაზღვევო კომპანია ტაოს“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლად ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (ბესსს-ის კოდექსი) შესაბამისად, რომელიც ვრცელდება საზოგადოებრივი დაინტერესების პირების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე, და ასევე იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში საზოგადოებრივი დაინტერესების პირების ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს. ამასთანავე შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.



**Building a better  
working world**

### ***კომპანიის 2025 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია***

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2025 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2025 წლის მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება აუდიტორის წინამდებარე დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

### ***ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე***

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.



**Building a better  
working world**

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.



**Building a better  
working world**

- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დმიტრო იურგელევიჩი (SARAS-A-644274)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

თბილისი, საქართველო

2026 წლის 15 აპრილი

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**  
**2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**  
*(ათას ლარში)*

	<i>შენიშვნები</i>	<b>2025</b>	<b>2024</b> <i>(რეკლასიფი- ცირებული)</i>	<b>1 იანვარი, 2024 წ.</b> <i>(რეკლასიფი- ცირებული)</i>
<b>აქტივები</b>				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	487	926	176
საბანკო ანაზღაურებები	7	13,899	13,838	11,648
ამორტიზებული ღირებულებებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	8	936	200	199
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივი მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივები	9	106	90	105
აქტივის გამოყენების უფლება სხვა აქტივები	11	127	80	256
<b>სულ აქტივები</b>		<b>15,570</b>	<b>15,261</b>	<b>12,388</b>
<b>საკუთარი კაპიტალი</b>				
სააქციო კაპიტალი	12			
- ჩვეულებრივი აქციები		2,500	2,500	2,500
გაუნაწილებელი მოგება		12,676	11,592	9,121
<b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>		<b>15,176</b>	<b>14,092</b>	<b>11,621</b>
<b>ვალდებულებები</b>				
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები	9	302	931	552
საიჯარო ვალდებულებები		25	23	7
სხვა ვალდებულებები	13	67	215	192
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>394</b>	<b>1,169</b>	<b>767</b>
<b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>15,570</b>	<b>15,261</b>	<b>12,388</b>

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“ დირექტორთა საბჭოს მიერ:

ქეთევან ახვლედიანი

გენერალური დირექტორი

ნინო ჯიბლაძე

ფინანსური განყოფილების უფროსი

2026 წლის 15 აპრილი

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**  
**2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**  
*(ათას ლარში)*

	<i>შენიშვნები</i>	<i>2025</i>	<i>2024 (რეკლასიფი- ცირებული)</i>	<i>1 იანვარი, 2024 წ. (რეკლასიფი- ცირებული)</i>
<b>აქტივები</b>				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	487	926	176
საბანკო ანაზრები	7	13,899	13,838	11,648
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	8	936	200	199
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივი	9	106	90	105
მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივები		-	107	-
აქტივის გამოყენების უფლება		15	20	4
სხვა აქტივები	11	127	80	256
		<b>15,570</b>	<b>15,261</b>	<b>12,388</b>
<b>სულ აქტივები</b>				
<b>საკუთარი კაპიტალი</b>	12			
სააქციო კაპიტალი				
- ჩვეულებრივი აქციები		2,500	2,500	2,500
გაუნაწილებელი მოგება		12,676	11,592	9,121
<b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>		<b>15,176</b>	<b>14,092</b>	<b>11,621</b>
<b>ვალდებულებები</b>				
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება	9	302	931	552
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები		-	-	16
საიჯარო ვალდებულებები		25	23	7
სხვა ვალდებულებები	13	67	215	192
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>394</b>	<b>1,169</b>	<b>767</b>
<b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>15,570</b>	<b>15,261</b>	<b>12,388</b>

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“ დირექტორთა საბჭოს მიერ:

ქეთევან ახვლედიანი

გენერალური დირექტორი

ნინო ჯიბლაძე

ფინანსური განყოფილების უფროსი

2026 წლის 15 აპრილი

## სრული შემოსავლის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშ- ვნი	2025	2024 (რეკლასიფი- ცირებული)
სადაზღვევო ამონაგები	9	3,714	4,086
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	9	(1,189)	(2,655)
სხვა დაზღვევასთან დაკავშირებული შემოსავალი/(ხარჯი)	9	4	(7)
<b>გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი</b>		<b>2,529</b>	<b>1,424</b>
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო ამონაგები		1,577	1,519
სხვა საინვესტიციო შემოსულობა/(ზარალი)		(28)	(2)
<b>ინვესტიციის შედეგი</b>	14	<b>1,549</b>	<b>1,517</b>
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები		(85)	(91)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(407)	(383)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		(4)	(6)
წმინდა სხვა საოპერაციო შემოსავალი		4	11
<b>სხვა ხარჯები</b>		<b>(492)</b>	<b>(469)</b>
<b>საოპერაციო მოგება</b>		<b>3,586</b>	<b>2,472</b>
საპროცენტო ხარჯი		(2)	(1)
<b>დასაბეგრი მოგება</b>		<b>3,584</b>	<b>2,471</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	10	-	-
<b>წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი</b>		<b>3,584</b>	<b>2,471</b>

**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება**  
**2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**  
*(ათას ლარში)*

	<i>შენიშ- ვნი</i>	<i>სააქციო კაპიტალი</i>	<i>გაუნაწილებელი მოგება</i>	<i>მთლიანი საკუთარი კაპიტალი</i>
<b>31 დეკემბერი, 2023 წ.</b>		2,500	9,121	11,621
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		–	2,471	2,471
<b>31 დეკემბერი, 2024 წ.</b>		2,500	11,592	14,092
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		–	3,584	3,584
აქციონერისთვის გადასახდელი დივიდენდები	12	–	(2,500)	(2,500)
<b>31 დეკემბერი, 2025 წ.</b>		<b>2,500</b>	<b>12,676</b>	<b>15,176</b>

**ფულადი ნაკადების ანგარიშგება**

**2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

(ათას ლარში)

	<i>შენიშ- ვნები</i>	<i>2025</i>	<i>2024</i>
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>			
მიღებული სადაზღვევო პრემია	9	3,051	3,694
გადახდილი სადაზღვევო ზარალები	9	(1,220)	(1,752)
გადახდილი აკვიზიციური ხარჯები	9	(202)	(224)
გადახდილი ხელფასები და სარგებელი		(155)	(87)
მიღებული პროცენტი		1,317	1,501
გადახდილი საოპერაციო გადასახადი		(4)	(25)
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი		7	79
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები		(156)	(129)
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები დაბეგრამდე</b>		<b>2,638</b>	<b>3,057</b>
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(122)
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>2,638</b>	<b>2,935</b>
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები</b>			
ფასიანი ქვალადების შეძენა	8	(736)	-
საბანკო ანაზღაურების წმინდა თანხების გამოტანა (განთავსება)		168	(2,177)
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>(568)</b>	<b>(2,177)</b>
<b>ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>			
გადახდილი დივიდენდი	12	(2,500)	-
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		-	(8)
<b>საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>(2,500)</b>	<b>(8)</b>
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(9)	-
<b>ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)</b>		<b>(439)</b>	<b>750</b>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, 1 იანვარი		926	176
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, 31 დეკემბერი</b>	<b>6</b>	<b>487</b>	<b>926</b>

5-40 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

## 1. ძირითადი საქმიანობა

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“ (შემდგომში, „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგისტრირებული და მოქმედი სააქციო საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2007 წლის 22 აგვისტოს და მომხმარებლებს სთავაზობს სხვადასხვა სადაზღვევო პროდუქტს. კომპანიის იურიდიული მისამართია ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა #16, თბილისი, საქართველო.

2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-ის მფლობელი არის სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“, სს „ა ჯგუფის“ შვილობილი საწარმო. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი აქციონერი არის საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალი“ (დაფუძნებული დიდ ბრიტანეთში და მისი აქციები რეგისტრირებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე) 2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიას სადაზღვევო ლიცენზია მიენიჭა 2007 წლის 27 აგვისტოს. ლიცენზიის სერტიფიკატების ნომრებია: #NL012 (არა სიცოცხლის) და #L012 (სიცოცხლის), რომლებიც გაცემულია სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ.

კომპანია ასევე არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „სავალდებულო დაზღვევის ცენტრის“ (შემდგომში „ცენტრი“) წევრი. ცენტრი დაარსდა სადაზღვევო სისტემაში მონაწილე 19 მზღვეველის მიერ სავალდებულო დაზღვევის სამართავად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, უცხო ქვეყნებში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელები/მძღოლები საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისთანავე ვალდებული იქნებიან, დააზღვიონ თავიანთი სამოქალაქო პასუხისმგებლობა საქართველოში გაჩერების პერიოდში. ცენტრის საქმიანობის ადგილია საქართველო და მისი მიზანია ამ სავალდებულო დაზღვევასთან დაკავშირებით გაყიდვების და ზარალის რეგულირების პროცესების ადმინისტრირება. კომპანიას აქვს 5.4%-იანი (2024 წლის 31 დეკემბერი: 5.3%) წილი ცენტრში, რომლის მეშვეობითაც იგი მონაწილეობს უცხოურ ქვეყნებში დარეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლების სამოქალაქო პასუხისმგებლობის ერთობლივ დაზღვევაში და შესაბამის აქტივებს, ვალდებულებებს, შემოსავალს და ხარჯებს აღიარებს ცენტრში თავისი წილის საფუძველზე.

## 2. მომზადების საფუძველი

### ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჟოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების (ფასსს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თითო აქციის ღირებულების გარდა, ან თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მუხლების თანმიმდევრულობა მოცემულია ლიკვიდობის ხარისხის მიხედვით.

კომპანიამ ეს ფინანსური ანგარიშგება მოამზადა იმ დამკვეთის საფუძველზე, რომ გააგრძელებს საქმიანობას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

### 3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

#### სადაზღვევო ხელშეკრულებები

##### *კლასიფიკაცია*

კომპანია აფორმებს სადაზღვევო ხელშეკრულებებს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რითაც იღებს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს თავისი დამზღვევებისგან. იმისათვის, რომ განსაზღვროს აქვს თუ არა მნიშვნელოვანი სადაზღვევო რისკი, კომპანია, გავრცელებული წესის თანახმად, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გადასახდელ სადაზღვევო ანაზღაურებას ადარებს გადასახდელ ანაზღაურებას, სადაზღვევო შემთხვევა რომ არ დამდგარიყო. სადაზღვევო ხელშეკრულებებით ფინანსური რისკის გადაცემა შეიძლება კომპანია ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სთავაზობს არასიცოცხლის დაზღვევას. არა სიცოცხლის დაზღვევის პროდუქტებია ავტო, პასუხისმგებლობის და სხვა მიმართულებების დაზღვევა. ეს პროდუქტები იცავს დამზღვევის აქტივებს და სხვა მხარეებს უნაზღაურებს დამზღვევის მიერ გამოწვეულ ზიანს.

კომპანია არ აფორმებს ისეთ ხელშეკრულებებს, რომლებიც შეიცავს პირდაპირ მონაწილეობის პირობებს.

##### *ბუღალტრული აღრიცხვა*

##### *დაზღვევის ხელშეკრულებებიდან კომპონენტების გამიჯვნა*

კომპანია აფასებს არასიცოცხლის დაზღვევის პროდუქტებს, რათა განსაზღვროს, შეიცავს თუ არა ისინი მკაფიო კომპონენტებს, რომლებიც უნდა აღირიცხოს სხვა ფასს-ით, ნაცვლად ფასს 17-ისა. მკაფიო კომპონენტების გამიჯვნის შემდეგ, კომპანია იყენებს ფასს 17-ს (ძირითადი) სადაზღვევო ხელშეკრულების ყველა დარჩენილი კომპონენტისთვის. ამჟამად კომპანიის პროდუქტები არ მოიცავს მკაფიო კომპონენტებს, რომლებიც საჭიროებს გამიჯვნას.

##### *აგრეგირების დონე*

ფასს 17-ის მიხედვით, კომპანია ვალდებულია განსაზღვროს აგრეგირების დონე სტანდარტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

კომპანიისთვის აგრეგირების დონე განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, ბიზნესის პორტფელზე დაყოფით. პორტფელები მოიცავს მსგავსი რისკების მქონე ხელშეკრულებების ჯგუფებს, რომლებიც ერთად იმართება. პორტფელები, თავის მხრივ, იყოფა სამ კატეგორიად მათი გაფორმების დროს მოსალოდნელი მომგებიანობის მიხედვით: წაგებიანი ხელშეკრულებები, წაგებიანად ქცევის მნიშვნელოვანი რისკის არმქონე ხელშეკრულებები და დანარჩენები. ეს იმას ნიშნავს, რომ აგრეგირების დონის დასადგენად კომპანია ხელშეკრულებს განსაზღვრავს უმცირეს „ერთეულად“, ანუ უმცირეს საერთო მნიშვნელად. თუმცა, კომპანია აფასებს, ხელშეკრულებების გარკვეული რაოდენობა უნდა აღირიცხოს თუ არა ერთად, როგორც ერთი ერთეული, გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, თუ ერთი ხელშეკრულება შეიცავს ისეთ კომპონენტებს, რომლებიც უნდა გამიჯვნოს და აღირიცხოს, როგორც ინდივიდუალური ხელშეკრულებები. ის, თუ რა აღირიცხება, როგორც ხელშეკრულება ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის, შეიძლება განსხვავდებოდეს იმისგან, თუ რა მიიჩნევა ხელშეკრულებად სხვა მიზნებისთვის (მაგ. იურიდიული ან მართვის). ფასს 17 ასევე მოითხოვს, რომ აგრეგირების მიზნით ერთ დონეზე მოქცეული კომპანია არ უნდა შეიცავდეს ისეთ ხელშეკრულებებს, რომელთა გაფორმების თარიღსაც ერთმანეთისგან ერთ წელზე მეტი აშორებს.

კომპანიის წაგებიან ხელშეკრულებებს არსებითი წილი არ უკავია.

კომპანიამ არჩია ერთად დაეჯგუფებინა ხელშეკრულებები, რომლებიც სხვა ჯგუფებში აღმოჩნდებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ კანონი ან რეგულაცია ზღუდავს მის პრაქტიკულ შესაძლებლობას, რომ სხვა ფასი ან სარგებლის დონე განუსაზღვროს სხვადასხვა მახასიათებლის მქონე დამზღვევებს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

### 3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

#### სადაზღვევო ხელშეკრულებები (გაგრძელება)

პორტფელები შემდეგ კიდევ იყოფა გაფორმების წლის და მომგებიანობის მიხედვით, აღიარებისა და შეფასების მიზნებისთვის. აქედან გამომდინარე, ყოველ წელს გაფორმებული ხელშეკრულებების პორტფელები სამ ჯგუფად იყოფა:

- ▶ ხელშეკრულებების ჯგუფი, რომლებიც წაგებიანია საწყისი აღიარებისას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ▶ ხელშეკრულებების ჯგუფი, რომლებსაც საწყისი აღიარებისას არ აქვს შემდგომში წაგებიანად ქცევის მნიშვნელოვანი ნიშნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ▶ დანარჩენი ხელშეკრულებების ჯგუფი პორტფელში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ხელშეკრულებების ჯგუფების მომგებიანობა ფასდება აქტუარული შეფასების მოდელებით, რომლებიც მხედველობაში იღებს არსებულ და ახალ ბიზნესს. კომპანია უშვებს, რომ პორტფელში საწყისი აღიარებისას არ არსებობს წაგებიანი ხელშეკრულებები, თუ ფაქტები და გარემოებები საპირისპიროზე არ მიუთითებენ. იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც არ არის წაგებიანი, კომპანია აფასებს საწყისი აღიარებისას, რომ არ არსებობს შემდგომში წაგებიანად გადაქცევის მნიშვნელოვანი ნიშნები, რისთვისაც აფასებს არსებულ ფაქტებსა და გარემოებებში ცვლილებების ალბათობას. კომპანია შემდეგ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით განსაზღვრავს, ხელშეკრულებების ჯგუფი წაგებიანია თუ არა:

- ▶ ინფორმაცია ფასწარმოქმნის შესახებ;
- ▶ მის მიერ აღიარებული მსგავსი ხელშეკრულებებიდან მიღებული გამოცდილება;
- ▶ გარემოს ფაქტორები, მაგ. ცვლილება ბაზარზე ან რეგულაციებში.

#### აღიარება

კომპანია აღიარებს თავის მიერ გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფს, ჩამოთვლილთაგან უადრესი თარიღით:

- ▶ ხელშეკრულებების ჯგუფის სადაზღვევო პერიოდის ათვლის დასაწყისი;
- ▶ თარიღი, როდესაც ჯგუფში შემავალ დამზღვევს უწევს პირველი გადახდა ან როდესაც მიიღება პირველი გადახდა;
- ▶ წაგებიანი ხელშეკრულებების ჯგუფის შემთხვევაში, თუ ფაქტები და გარემოებები მიანიშნებენ იმაზე, რომ ჯგუფი წაგებიანია.

კომპანია ახალ ხელშეკრულებებს უმატებს ჯგუფს იმ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, რომელშიც ეს ხელშეკრულება აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ კრიტერიუმს.

#### უცხოურ ვალუტაში გამოხატული სადაზღვევო ხელშეკრულებები

ფასს 17-ის თანახმად, კომპანიას ვალდებულია გადააფასოს სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები, რომლებიც გამოხატულია უცხოურ ვალუტებში, საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსავლის/(ხარჯების) მუხლის მეშვეობით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

### 3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ბუღალტრული აღრიცხვა (გაგრძელება)

##### ხელშეკრულების ფარგლები

კომპანია სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფის შეფასებაში ითვალისწინებს ყველა სამომავლო ფულად ნაკადს, ჯგუფში არსებული თითოეული ხელშეკრულების ფარგლებში. ფულადი ნაკადები არის სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში, თუ ისინი წარმოიშობა არსებითი უფლებებიდან და ვალდებულებებიდან, რომლებიც არსებობს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, რომელშიც კომპანიას შეუძლია აიძულოს დამზღვევს პრემიების გადახდა ან რომელშიც კომპანიას აქვს არსებითი ვალდებულება, დამზღვევს გაუწიოს სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება. სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის არსებითი ვალდებულება სრულდება მაშინ, როდესაც:

- ▶ თუ კომპანიას აქვს პრაქტიკული უნარი გადააფასოს გარკვეული დამზღვევების რისკები და, ამის შედეგად, შეუძლია ფასის დაწესება ან სარგებლის დონის განსაზღვრა, რაც სრულად ასახავს ამ რისკებს;

ან

- ▶ ორივე შემდეგი კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია:
  - ა. თუ კომპანიას აქვს პრაქტიკული უნარი გადააფასოს იმ სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელის რისკები, რომელიც მოიცავს ამ ხელშეკრულებას და, ამის შედეგად, შეუძლია ფასის დაწესება ან სარგებლის დონის განსაზღვრა, რაც სრულად ასახავს ამ პორტფელის რისკს;
  - ბ. პრემიების განფასება იმ თარიღამდე, როდესაც ხდება რისკების გადაფასება, არ ითვალისწინებს იმ რისკებს, რომლებიც უკავშირდება გადაფასების თარიღის შემდგომ პერიოდებს.

არ ხდება იმ ვალდებულების ან აქტივის აღიარება, რომელიც უკავშირდება მოსალოდნელ პრემიებს ან სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებს გარეთ არსებულ მოთხოვნებს. ასეთი თანხები უკავშირდება სამომავლო სადაზღვევო ხელშეკრულებებს.

##### სადაზღვევო ხელშეკრულებები – თავდაპირველი შეფასება

კომპანია იყენებს პრემიების განაწილებაზე დაფუძნებულ მიდგომას ყველა სადაზღვევო ხელშეკრულებისთვის, რომლებსაც ის აფორმებს:

- ▶ ჯგუფში შემავალი თითოეული ხელშეკრულების სადაზღვევო პერიოდი, მათ შორის სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების, რომლებიც წარმოიშობა ყველა პრემიიდან, რომელიც განეკუთვნება ხელშეკრულების ფარგლებს, შეადგენს ერთ წელს ან უფრო ნაკლებს.

ხელშეკრულებების იმ ჯგუფისთვის, რომელიც არ არის წაგებიანი საწყისი აღიარებისას, კომპანია აფასებს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას, როგორც:

- ▶ პრემიებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომლებიც მიიღება საწყისი აღიარებისას;
- ▶ გამოკლებული დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები ამ თარიღისთვის;
- ▶ მიმატებული ან გამოკლებული ყოველგვარი თანხა, რომელიც წარმოიშობა ამ თარიღით დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადებისთვის აღიარებული აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად, და;
- ▶ ნებისმიერი სხვა აქტივი ან ვალდებულება, რომელიც მანამდეა აღიარებული ხელშეკრულებების ჯგუფთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებისთვის, რომელსაც კომპანია იხდის ან იღებს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფის აღიარებამდე.

ფულის დროითი ღირებულებისთვის რეზერვი არ იქმნება, ვინაიდან პრემიები მიიღება სადაზღვევო პერიოდიდან ერთი წლის ვადაში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

### 3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ბუღალტრული აღრიცხვა (გაგრძელება)

თუ ფაქტები და გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ ხელშეკრულებები წაგებიანა საწყისი აღიარებისას, კომპანია ატარებს დამატებით ანალიზს, რათა განსაზღვროს თანხების წმინდა გადინება მოსალოდნელია თუ არა ხელშეკრულებიდან. ასეთი წაგებიანი ხელშეკრულებები სხვა ხელშეკრულებებისგან ცალკე ჯგუფდება და კომპანია აღიარებს ზარალს მოგებაში ან ზარალში თანხების წმინდა გადინებისთვის, რის შედეგადაც ჯგუფის ვალდებულების საბალანსო ღირებულება უტოლდება გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს. კომპანია ზარალის კომპონენტს განსაზღვრავს ხელშეკრულებების წაგებიანი ჯგუფის დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებისთვის, რომელიც ასახავს აღიარებულ ზარალებს.

#### სადაზღვევო ხელშეკრულებები – შემდგომი შეფასება

კომპანია აფასებს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების საბალანსო ღირებულებას ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, როგორც დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას პერიოდის დასაწყისში:

- ▶ დამატებული პერიოდის განმავლობაში მიღებული პრემიები;
- ▶ გამოკლებული დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები;
- ▶ დამატებული ყოველგვარი თანხა, რომელიც უკავშირდება დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ამორტიზაციას, რომელიც აღიარებულია ხარჯად კომპანიის საანგარიშგებო პერიოდში;
- ▶ გამოკლებული პერიოდის განმავლობაში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული სადაზღვევო ამონაგების თანხა.

კომპანია დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილ ვალდებულებებს აფასებს, როგორც გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულად ნაკადებს, რომლებიც უკავშირდება დამდგარ სადაზღვევო შემთხვევებს. გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მიუკერძოებლად ითვალისწინებს მიზანშეუწონელი დანახარჯების თუ ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომ ყველაზე დასაბუთებულ და დადასტურებულ ინფორმაციას, რომელიც ეხება ამ მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობას, მათი წარმოშობის დროსა და დაკავშირებულ განუსაზღვრელობას; ისინი ასახავს კომპანიის ხედვით ამჟამინდელ შეფასებებს და მოიცავს არაფინანსური რისკის აშკარა კორექტირებებს (რისკის კორექტირება).

გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს დამდგარ სადაზღვევო შემთხვევებთან პირდაპირ დაკავშირებულ მოსალოდნელ ამოღებებს. ეს მოიცავს მოთხოვნების დარეგულირების პროცესში მოპოვებული დასაკუთრებული აქტივებიდან მიღებულ თანხებს, რომლებიც ამცირებს დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილ წმინდა ვალდებულებას.

კომპანია არ აკორექტირებს სამომავლო ფულად ნაკადებს ფულის დროითი ღირებულების და ფინანსურ რისკის ეფექტის მიხედვით, დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულების შესაფასებლად, რომელთა გადახდა მოსალოდნელია მათი გაწევიდან ერთი წლის ვადაში.

#### დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები

დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები წარმოიშობა გაყიდვების დანახარჯებიდან, ანდერაიტინგიდან და სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფის გაფორმებიდან (რომლებიც უკვე გაფორმებულია ან რომელთა გაფორმება მოსალოდნელია), რომლებიც პირდაპირ არის მიკუთვნებადი იმ სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელისთვის, რომელსაც ჯგუფი მიეკუთვნება.

დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები გადანაწილდება დარიცხვის წრფივი მეთოდით, როგორც პრემიის ნაწილი მოგებაზე ან ზარალზე (სადაზღვევო ამონაგების მეშვეობით).

კომპანია იყენებს სისტემატურ და რაციონალურ მეთოდს, რომ გაანაწილოს:

- ა) დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები, რომლებიც პირდაპირ არის მიკუთვნებადი სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფისთვის:
  - ▶ ჯგუფებზე, რომლებიც შეიცავს ისეთ სადაზღვევო ხელშეკრულებებს, რომელთა წარმოშობა მოსალოდნელია ამ ჯგუფში შემავალი სადაზღვევო ხელშეკრულებების განახლების შედეგად.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

### 3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ბუღალტრული აღრიცხვა (გაგრძელება)

ბ) დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები, პირდაპირ მიკუთვნებადი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც პირდაპირ არ არის მიკუთვნებადი ხელშეკრულებების ჯგუფებისთვის, პორტფელის ჯგუფებზე.

როდესაც დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები გადახდილია ან დამდგარია შესაბამისი სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფის აღიარებამდე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თითოეული დაკავშირებული ჯგუფისთვის ხდება დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით ცალკე აქტივის აღიარება.

დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივის აღიარება წყდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები აისახება სადაზღვევო ხელშეკრულებების შესაბამისი ჯგუფის თავდაპირველ შეფასებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფებზე განაწილებული დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ოდენობებს, რომლებიც ჯერ არ არის აღიარებული, რომ ასახოს განაწილების გამოყენებულ მეთოდთან დაკავშირებულ დაშვებებში შესული ცვლილებები.

ხელახლა განაწილების შემდეგ კომპანია აფასებს დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივის ანაზღაურების შესაძლებლობას, თუ ფაქტები და გარემოებები მიანიშნებს აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ანაზღაურების შესაძლებლობის შეფასებისას კომპანია იყენებს:

- ▶ გაუფასურების ტესტს არსებული ან სამომავლო სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფის დონეზე;
- ▶ დამატებით გაუფასურების ტესტს, რომელიც მოიცავს კონკრეტულად ხელშეკრულებების მომავალში მოსალოდნელ განახლებებზე განაწილებულ დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებს.

თუ ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, აქტივის საბალანსო ღირებულება კორექტირდება და გაუფასურების ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია მოგებაში ან ზარალში აღიარებს მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის მთლიან ან ნაწილობრივ აღდგენილ ოდენობას და ზრდის აქტივის საბალანსო ღირებულებას, როდესაც გაუფასურების გამომწვევი პირობები აღარ იარსებებს ან გაუმჯობესდება.

#### სადაზღვევო ხელშეკრულებები – მოდიფიკაცია და აღიარების შეწყვეტა

კომპანია სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც:

- ▶ როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები შეწყდება (ვადა გაუვა, დაიფარება ან გაუქმდება);
- ან
- ▶ ხელშეკრულების მოდიფიკაცია ხდება ისე, რომ მოდიფიკაცია განაპირობებს ცვლილებას შეფასების მოდელში ან ხელშეკრულების კომპონენტის შესაფასებლად გამოყენებულ სტანდარტში, არსებითად ცვლის ხელშეკრულების ფარგლებს ან მოითხოვს, რომ მოდიფიცირებული ხელშეკრულება შევიდეს სხვა ჯგუფში. ასეთ შემთხვევებში კომპანია ახდენს თავდაპირველი ხელშეკრულების აღიარების შეწყვეტას და მოდიფიცირებულ ხელშეკრულებას აღიარებს ახალი ხელშეკრულების სახით.

როდესაც მოდიფიკაცია არ აღირიცხება, როგორც აღიარების შეწყვეტა, კომპანია აღიარებს ხელშეკრულების მოდიფიკაციისთვის გადახდილ ან მიღებულ თანხებს, როგორც შესაბამისი დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების კორექტირებას.

#### წარდგენა

ჯგუფს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალკე აქვს წარმოდგენილი გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელის საბალანსო ღირებულებები, რომლებიც არის აქტივები, გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელები, რომლებიც არის ვალდებულებები.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

### 3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ბუღალტრული აღრიცხვა (გაგრძელება)

დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივები, რომლებიც აღიარებულია შესაბამის სადაზღვევო ხელშეკრულებამდე, ასახულია სადაზღვევო ხელშეკრულებების შესაბამისი ჯგუფების საბალანსო ღირებულებაში და განაწილებულია იმ სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელის საბალანსო ღირებულებებზე, რომლებსაც ისინი უკავშირდება.

კომპანია ახდენს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებული მთლიანი თანხის დეზაგრეგირებას გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგად, რომელიც მოიცავს სადაზღვევო ამონაგებს და სადაზღვევო მომსახურების ხარჯებს, და დაზღვევასთან დაკავშირებულ საკურსო სხვაობის ცვლილების დინამიკას.

#### ურთიერთგადაფარვა

მსხვილ კონტრაქტებთან გაფორმებული დაზღვევის ხელშეკრულებების აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა ასახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლება და ურთიერთგაქვიტვის სურვილი (მე-9 შენიშვნა).

კომპანია არ ახდენს არაფინანსური რისკის საფუძველზე განხორციელებული კორექტირების თანხის ცვლილების დეზაგრეგირებას ფინანსურ და არაფინანსურ ნაწილს შორის და მთლიანი თანხის ცვლილებას ასახავს, როგორც სადაზღვევო მომსახურების შედეგის ნაწილს.

#### სადაზღვევო ამონაგები

პერიოდის სადაზღვევო ამონაგები არის მოსალოდნელი მისაღები პრემიების თანხა (გარდა საინვესტიციო კომპონენტებისა), რომელიც განაწილებულია ამ პერიოდზე. კომპანია მოსალოდნელ მისაღებ პრემიებს სადაზღვევო ხელშეკრულებით გაწეული მომსახურების თითოეულ პერიოდზე ანაწილებს დროის გასვლის საფუძველზე.

საჭიროების შემთხვევაში, კომპანია განაწილებს საფუძველს ცვლის ზემოაღნიშნულ ორ მეთოდს შორის, თუ ფაქტები და გარემოებები შეიცვლება. ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად, როგორც ცვლილება ბუღალტრულ აღრიცხვაში.

წარმოდგენილი პერიოდებისთვის ყოველგვარი ამონაგები აღიარებულია დროის გასვლის საფუძველზე.

#### ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

##### საწყისი აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას დამოკიდებულია მათ სახელშეკრულებო პირობებზე და ინსტრუმენტების მართვის ბიზნესმოდელზე.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების თარიღით და ფასდება მათი სამართლიანი ღირებულებით. გარდა სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა, ამ თანხას ემატება გარიგების დანახარჯები.

##### შეფასების კატეგორიები

კომპანია ყველა თავისი ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას ახდენს ამ აქტივების მართვის ბიზნესმოდელისა და სახელშეკრულებო პირობების მიხედვით. კატეგორიები მოიცავს შემდეგს:

- ▶ ამორტიზებული ღირებულება;
- ▶ სამართლიანი ღირებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით (სდმზ).

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

### 3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

*ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები*

ამორტიზებული ღირებულებით ფლობილი სავალო ინსტრუმენტები, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი ორივე პირობა:

- ▶ ინსტრუმენტების ფლობა ხდება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანიც არის ინსტრუმენტის ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით;
- ▶ სავალო ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდებს (SPPI).

*სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით*

ამ კატეგორიაში შედის ისეთი ფინანსური აქტივები, რომლებიც იმართება სამართლიანი ღირებულების ბიზნეს მოდელით ან რომლებიც ხელმძღვანელობამ საწყისი აღიარებისას მიაკუთვნა მას, ან, ფასს 9-ის მიხედვით, სავალდებულოა მათი სამართლიანი ღირებულებით შეფასება. ამ კატეგორიაში შედის სავალო ინსტრუმენტები, რომელთა ფულადი ნაკადები ვერ აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმს და მათი ფლობის ბიზნესმოდელის მიზანი არ არის ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ან როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება მათგან, ისე მათი გაყიდვა.

*ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი*

შესაბამისი ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის შეფასება ფასს 9-ის მიხედვით საჭიროებს განსჯის გამოყენებას, კერძოდ, სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობისა და წარმოშობის დროის პროგნოზირებას გაუფასურების ზარალის განსაზღვრისას და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებას. ეს შეფასებები ეყრდნობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელირებული სცენარების შედეგს და გამოყენებულ ამოსავალ მონაცემებს.

საწყისი აღიარებისას კომპანია ქმნის საკრედიტო ზარალის რეზერვებს/ანარიცხებს, თორმეტვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის ოდენობით. იგი გამოითვლება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების გამრავლებით დეფოლტის ალბათობაზე მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში (კომპანია იყენებს Moody's, S&P Global და Fitch Ratings-ის მიერ მინიჭებულ რეიტინგებს რეიტინგის მქონე კომპანიების დეფოლტის ალბათობების შესაფასებლად, სხვა, რეიტინგის არ მქონე კომპანიების შემთხვევაში გამოიყენება მშობელი საწარმოს რეიტინგი, თუ ის არ არის ხელმისაწვდომი, კომპანია იყენებს ორი ნიშნულით შემცირებულ ქვეყნის სუვერენულ რეიტინგის) და გამოითვლის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელსაც განაპირობებდა ეს დეფოლტი (მე-4 შენიშვნა).

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომელთა მიღებასაც კომპანია მოელის, რომელიც დისკონტირებულია სათანადო ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით.

*ფინანსური ვალდებულებები*

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

### 3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

##### ჩამოწერები

ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. კომპანია უიმედოდ მიჩნეულ აქტივებს, როგორც წესი, 180 დღით ვადაგადაცილების შემდეგ ჩამოწერს. თუ ჩამოსაწერი თანხა აღემატება დაგროვილი ზარალის რეზერვს, სხვაობა თავდაპირველად აღირიცხება რეზერვზე დამატების სახით, რომელიც შემდეგ გამოიყენება მთლიან საბალანსო ღირებულებასთან მიმართებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად მოდიფიცირებული პირობებით, ან თუ მოკლევადიანი ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის განსხვავება აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

##### მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა

კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს გამოითვლის სცენარებზე დაყრდნობით იმისათვის, რომ შეაფასოს ფულადი სახსრების მოსალოდნელი დეფიციტი, რომელიც დისკონტირებულია სათანადო ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ფულადი სახსრების დეფიციტი არის სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად კომპანიისთვის გადასახდელ ფულად ნაკადებს და იმ ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებასაც საწარმო მოელოდა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, კომპანია განიხილავს ოთხ სცენარს (საბაზისო, ოპტიმისტური და ოდნავ პესიმისტური და უფრო პესიმისტური). საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სცენარის შეფასება ასევე შეიცავს იმის აღბათობას, რომ დეფოლტის სიტუაციაში მყოფი სესხები შეიძლება გაჯანსაღდეს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ და მისი ძირითადი კომპონენტებია:

- ▶ PD - დეფოლტის აღბათობა არის გარკვეული დროის განმავლობაში დეფოლტის დადგომის შესაძლებლობის შეფასება. იგი გამოითვლება ეკონომიკური სცენარებისა და საპროგნოზო ინფორმაციის გათვალისწინებით;
- ▶ EAD – დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება არის დეფოლტის სამომავლო თარიღისთვის განსაზღვრული დავალიანება, რომელიც ითვალისწინებს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ დავალიანებაში მოსალოდნელ ცვლილებებს, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (დაფარვის გრაფიკის მიხედვით ან არა) და გადაუხდელ შენატანებზე დარიცხულ პროცენტს;
- ▶ LGD - დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში არის დროის გარკვეულ მომენტში დეფოლტის დადგომის შემთხვევაში წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ეყრდნობა სხვაობას გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც კომპანია მოელოდა. ჩვეულებრივ, გამოიხატება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების (EAD) პროცენტის სახით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

### 3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

კომპანია თავის აქტივებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის მიხედვით ანაწილებს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე კატეგორიაზე:

- ▶ 12-თვიანი საკრედიტო ზარალი – გამოითვლება, როგორც აქტივის გრძელვადიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) ნაწილი, კერძოდ ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. ეს მოსალოდნელი 12-თვიანი დეფოლტის ალბათობები გამოიყენება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების პროგნოზზე, მრავლდება დეფოლტის მომენტისთვის მოსალოდნელ დაუფარავ დავალიანებაზე და დისკონტირდება სათანადო ეფექტურ საპროცენტო განაკვეთით. ეს გამოთვლა ხორციელდება თითოეული სცენარისთვის, როგორც ზემოთ არის აღწერილი;
- ▶ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი – როდესაც ინსტრუმენტის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, კომპანია ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. სპეციფიკა ზემოთ განმარტებულის მსგავსია, სხვადასხვა სცენარის გამოყენების ჩათვლით, მაგრამ დეფოლტის ალბათობები და დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში გამოითვლება ინსტრუმენტის მთელ ვადაზე. მოსალოდნელი ზარალის დისკონტირება ხდება სათანადო ეფექტური საპროცენტო განაკვეთით;
- ▶ გაუფასურება – იმ სავალო ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც მიიჩნევა საკრედიტო რისკით გაუფასურებულად, კომპანია აღიარებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. ეს მეთოდი აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის გამოყენებული მეთოდის მსგავსია, მაგრამ დეფოლტის ალბათობა, ამ შემთხვევაში, 100%-ით არის განსაზღვრული.

#### სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს, მაგალითად, წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს აფასებს სამართლიანი ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია მე-17 შენიშვნაში.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომლებისთვისაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება ისე, რომ მაქსიმალურად იყენებდეს ემპირიულ ამოსავალ მონაცემებს და მინიმალურად – არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც, საერთო ჯამში, მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

### 3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

#### საპროცენტო შემოსავლის აღიარება

*ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი*

ფასს 9-ის მიხედვით, საპროცენტო შემოსავალი აღრიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთს მეთოდით ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ყველა ფინანსური აქტივისთვის. პროცენტის ფინანსური აქტივების მსგავსად, რომლებიც ადრე კლასიფიცირებული იყო, როგორც გასაყიდად არსებული ან დაფარვის ვადამდე ფლობილი ბასს 39-ის მიხედვით, ფასს 9-ის თანახმად სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, პროცენტის ფინანსური აქტივებიდან საპროცენტო შემოსავალიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით აღრიცხება. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ახდენს მომავალში სავარაუდოდ მიღებული ფულადი სახსრების ზუსტ დისკონტირებას ფინანსური აქტივის მოსალოდნელ ვადაზე, ან, როცა ეს მიზანშეწონილია, უფრო მოკლე პერიოდზე, ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებამდე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (და, შესაბამისად, ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება) გამოითვლება გარიგების დანახარჯებისა და ფინანსური აქტივის შემენისას ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის გათვალისწინებით, ასევე იმ საკომისიოებისა და დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია. კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს უკუგების კოეფიციენტის გამოყენებით, რომელიც ყველაზე ზუსტად აფასებს მუდმივ უკუგების განაკვეთს სავალო ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში.

*საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი*

საპროცენტო შემოსავალი შედგება თანხებისგან, რომლებიც გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და სხვა მეთოდებით (რაც მოიცავს საბანკო ანაბრების, ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ინსტრუმენტების და გაცემული სესხების პროცენტს). ისინი ცალკე აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია გამოითვლის საპროცენტო შემოსავალს ფინანსურ აქტივებზე, საკრედიტო რისკით გაუფასურებულად მიჩნეული აქტივების გარდა, ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

*საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსავალი/(ხარჯი) ფინანსური აქტივებიდან*

კომპანიას მიაჩნია, რომ უფრო სამართლიან წარდგენას უზრუნველყოფს, თუ ინვესტიციასთან დაკავშირებულ ყველა საკურსო სხვაობით განპირობებულ შემოსავალს/(ხარჯს) წარმოადგენს ინვესტიციის შედეგის სახით.

#### ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულისგან, მიმდინარე ანგარიშებისა და საბანკო ანაბრებისგან, რომელთაც აქვთ განთავსებიდან სამი თვის ვადა და თავისუფალნი არიან სახელშეკრულებო ვალდებულებებისგან.

#### გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2024 წლის 1 იანვარს კომპანიამ მიიღო გადავადებული მოგების გადასახადის ესტონური მოდელი, რომელიც დაბეგვრის დროს დასაბეგრი მოგების მიღებიდან მათ განაწილებამდე გადაწევს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

### 3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

#### გადასახადები (გაგრძელება)

რეზიდენტი საწარმოების მოგების დაბეგვრისას შემდეგი საგადასახადო ბაზა უნდა იქნეს გათვალისწინებული:

- ▶ განაწილებული მოგება;
- ▶ გაწეული ხარჯები ან სხვა შესრულებული გადახდები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- ▶ უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
- ▶ წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აღემატება მიღებული ამონაგების / გაწეული ხარჯების (როდესაც გაწეული ხარჯები აღემატება მიღებულ ამონაგებს) 1%-ს წინა კალენდარული წლის განმავლობაში.

ქონების განაწილებად შემდეგი მიიჩნევა:

- ▶ საწარმოების მიერ დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები, თუ მათ შორის განხორციელებული ოპერაციების ღირებულება განსხვავდება ოპერაციების საბაზრო ღირებულებისგან და მათი დაკავშირებული სტატუსი გავლენას ახდენს ოპერაციების შედეგებზე;
- ▶ კონტროლირებული ოპერაციების განხორციელება, თუ ოპერაციების დადგენილი მდგომარეობა არ აკმაყოფილებს საბაზრო პრინციპს;
- ▶ საწარმოების მიერ განხორციელებული ოპერაციები საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, თუ მათ შორის ოპერაციების ღირებულება განსხვავდება ოპერაციების საბაზრო ღირებულებისგან.

ასეთ ოპერაციაზე საგადასახადო ვალდებულებები აისახება, როგორც სხვა საოპერაციო გადასახადები.

მოგების საგადასახადო განაკვეთი 15%-ია. მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიღებული უნდა იყოს განხორციელებული გაცემების/გაწეული ხარჯების თანხის გაყოფით 0.85-ზე საგადასახადო ბაზის მიხედვით.

კომპანიას არ უღიარებია გადავადებული გადასახადები, ვინაიდან გაუნაწილებელ მოგებაზე მოქმედი 0%-იანი განაკვეთი გამოიყენება გადავადებული გადასახადის შეფასების მიზნებისთვის.

#### სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციები საკუთარ კაპიტალად არის კლასიფიცირებული. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

#### უცხოური ვალუტის გადაყვანა

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში (ლარი), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაა.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების გადაანგარიშების შედეგად მიღებული შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა/(ზარალი).

სხვაობები უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალის მუხლში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, იყო 2.6951 და 2.8068 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

### 3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე და აგრძელებს მათი გავლენის შეფასებას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

*ფასს (IFRS) 18 – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები“*

2024 წლის აპრილში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 18, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 1-ს „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. ფასს 18-ს შემოაქვს ახალი მოთხოვნები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ინფორმაციის, მათ შორის კონკრეტული ჯამებისა და ქვეჯამების წარდგენასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საწარმოებს ევალებათ ყველა შემოსავლისა და ხარჯის კლასიფიცირება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხუთიდან რომელიმე კატეგორიაში: საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადები და შეწყვეტილი ოპერაციები. აქედან პირველი სამი კატეგორია ახალია.

იგი ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ ახლად განსაზღვრულ საქმიანობის შედეგების შეფასების საზომებს, შემოსავლისა და ხარჯების ქვეჯამებს და მოიცავს ფინანსური ინფორმაციის აგრეგირებისა და დეზაგრეგირების ახალ მოთხოვნებს, ფინანსური ანგარიშგებებისა და მათზე დართული შენიშვნების კონკრეტული „როლებს“ შესაბამისად.

გარდა ამისა, ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ შევიდა ვიწრო მიმართულების ცვლილებები, რომლებიც მოიცავს არაპირდაპირი მეთოდით წარმოებული ოპერაციებიდან მიღებული ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის შეცვლას „მოგებიდან ან ზარალიდან“ „საოპერაციო მოგება ან ზარალზე“ და დივიდენდებიდან პროცენტში ფულადი ნაკადების გადატანასთან დაკავშირებული არჩევითობის გაუქმებას. ამასთან, რამდენიმე სხვა სტანდარტში შევიდა სხვა ცვლილებებით გამოწვეული ცვლილებები.

ფასს 18 და სხვა სტანდარტებში შესული ცვლილებები ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა ნებადართულია ვადაზე ადრე მიღება და ამის შესახებ ინფორმაცია უნდა გაცხადდეს. ფასს 18 იმოქმედებს რეტროსპექტიულად.

კომპანია ამჟამად ცდილობს განსაზღვროს ყველა გავლენა, რომელიც ამ ცვლილებებს ექნება ფინანსურ ანგარიშგებებზე და ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებზე.

ქვემოთ ჩამოთვლილია სხვა სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა. ეს სტანდარტები, სავარაუდოდ, არ იქონიებს გავლენას კომპანიაზე:

*ფასს 19 – „შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები“*

2024 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 19, რომელიც შესაბამის საწარმოებს უფლებას აძლევს აირჩიონ ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული შეზღუდული მოთხოვნები ფასს-ის სხვა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების პარალელურად. უფლების მისაღებად, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის საწარმო უნდა იყოს შვილობილი საწარმო ფასს 10-ის განმარტების შესაბამისად, არ შეიძლება ჰქონდეს საჯარო ანგარიშვალდებულება და უნდა ჰყავდეს მშობელი საწარმო (საბოლოო ან შუალედური), რომელიც ამზადებს საჯარო გამოყენებისთვის ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც აკმაყოფილებს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს.

ფასს 19 ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენება.

კომპანია არ მოელის, რომ ფასს 19-ის გამოყენება დაეკისრება, რადგან მას აქვს საჯარო ანგარიშვალდებულება, როგორც სადაზღვევო კომპანიას.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

### 3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში – ფასს (IFRS) 9-ისა და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილება

2024 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში, ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შემდგომში „ცვლილებები“). ცვლილებები მოიცავს შემდეგს:

- ▶ განმარტებას, რომ ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება „საანგარიშსწორებო თარიღით“ და სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევის შესაძლებლობა (თუ გარკვეული პირობები დაკმაყოფილდება), რომ დაფარული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა მოხდეს ელექტრონულ გადახდის სისტემაში საანგარიშსწორებო თარიღამდე;
- ▶ დამატებითი მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის და მსგავსი მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივებისთვის;
- ▶ განმარტებები იმისა, თუ რა წარმოადგენს „არარეგრესის მახასიათებლებს“ და რა თვისებები აქვს ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებს;
- ▶ განმარტებითი შენიშვნების დანერგვა პირობითი მახასიათებლების მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის და დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები წილობრივი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ცვლილებები ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე მიღება მხოლოდ ფინანსური აქტივების კლასიფიკაციებისა და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენისთვის. კომპანია განაგრძობს თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე ამ ცვლილებების შესაძლო გავლენის შეფასებას.

ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების წლიური გაუმჯობესება – მე-11 თავი 2024 წლის ივლისში ბასსს-მა გამოუშვა ვიწრო მოქმედების სფეროს მქონე ცხრა ცვლილება ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების პერიოდული განახლების ფარგლებში. ცვლილებები მოიცავს განმარტებებს, გამარტივებებს და შესწორებებს ან ცვლილებებს, რათა გაუმჯობესდეს თანმიმდევრულობა ფასს 1-ში „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“, ფასს 7-ში „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ და მის თანმხლებ ინსტრუქციას ფასს 7-ისა და ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“, ფასს 10-ის „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ და ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ გამოყენებაზე. ცვლილებები ძალაში შევა 2026 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. უფრო ადრე გამოყენება ნებადართულია განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენის პირობით. არ არის მოსალოდნელი, რომ ცვლილებებს არსებითი გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერჯის შესახებ ხელშეკრულებები – ცვლილებები ფასს (IFRS) 9-სა და ფასს (IFRS) 7-ში 2024 წლის დეკემბერში ბასსს-მა გამოსცა ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში – „ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერჯის შესახებ ხელშეკრულებები“. ცვლილებები ვრცელდება მხოლოდ იმ ხელშეკრულებებზე, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერჯას; ეს ცვლილებები:

- ▶ აზუსტებს „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენებას ცვლილებების მოქმედების არეალში მოქცეული ხელშეკრულებების შემთხვევაში;
- ▶ ცვლის ჰეჯირებული მუხლის კლასიფიკაციის მოთხოვნებს ფულადი ნაკადების ჰეჯირების ურთიერთობის ფარგლებში ამ ცვლილებების მოქმედების არეალში მოქცეული ხელშეკრულებების შემთხვევაში;
- ▶ ამატებს ინფორმაციის გამჟღავნების ახლა მოთხოვნებს, რაც ინვესტორებს საშუალებას მისცემს, გაერკვნენ ამ ხელშეკრულებების გავლენაში კომპანიის ფინანსურ საქმიანობასა და ფულად ნაკადებზე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

### 3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ცვლილებები ძალაში შევა 2026 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. დაშვებულია ვადამდელი გამოყენება, მაგრამ აუცილებელია შესაბამისი განმარტებების წარმოდგენა. ცვლილებები, რომლებიც ეხება საკუთარი მოხმარების გამოწვევას, უნდა გამოყენებულ იქნეს რეტროსპექტიულად, ხოლო ჰეჯირების აღრიცხვის ცვლილებები უნდა გამოყენებულ იქნეს პერსპექტიულად ახალ ჰეჯირების ურთიერთობებზე, რომლებიც კლასიფიცირებულია სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღიდან. გარდა ამისა, ფასს 7-ის ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული ცვლილებები უნდა განხორციელდეს ფასს 9-ის ცვლილებების პარალელურად. თუ საწარმო არ ახდენს შესადარის ინფორმაციის გადაანგარიშებას, მას არ შეუძლია შესადარისი განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენა. კომპანიის მოლოდინით, ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა არ ექნება თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ქვემოთ განხილულია ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტივების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე. კომპანია ახდენს ინფორმაციის დეზაგრეგირებას, რომ წარმოადგინოს ინფორმაცია მსხვილი პროდუქტების, კერძოდ, ავტო, პასუხისმგებლობის მიმართულებების დაზღვევის პროდუქტების შესახებ. ეს დეზაგრეგირება განისაზღვრა იმის საფუძველზე, თუ როგორ იმართება კომპანია.

#### სადაზღვევო ხელშეკრულებები

კომპანია სადაზღვევო ხელშეკრულებების შეფასების გასამარტივებლად იყენებს პრემიების განაწილებაზე დაფუძნებულ მიდგომას (PAA). დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების შეფასებისას PAA დიდად ჰგავს კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის წინა წესს ფასს 4-ის მიხედვით.

#### დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება

##### წაგებიანი ჯგუფები

ხელშეკრულებების იმ ჯგუფისთვის, რომელიც არის წაგებიანი, დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება განისაზღვრება გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადებით. ნებისმიერი ზარალის კომპენსაციის კომპონენტი განისაზღვრება საბაზისო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის კომპონენტთან მიმართებით. კომპანიის წაგებიანი ხელშეკრულებებს არსებითი წილი არ უკავია 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

##### ფულის დროითი ღირებულება

კომპანია არ ახდენს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირებას, რომ ასახოს ფულის დროითი ღირებულება და ფინანსური რისკის ეფექტი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ვინაიდან მისი დაფარვა მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში.

#### დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება

აუნაზღაურებელი მოთხოვნების საერთო ხარჯი გამოითვლება ზარალის პროგნოზირების სტანდარტული აქტუარული მეთოდების გამოყენებით, მათ შორის ე.წ. ჯაჭვისებური კიბის და ბომპუტერ-ფერგიუსონის მეთოდებით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

#### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

##### სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

ამ მეთოდების ძირითადი დაშვება ისაა, რომ კომპანიის წარსულში დაგროვილი სადაზღვევო შემთხვევების დინამიკის გამოყენება შესაძლებელია სამომავლო სადაზღვევო შემთხვევების დინამიკისა და, შესაბამისად, ზარალის მთლიანი მოცულობის პროგნოზირებისთვის. ეს მეთოდები პროგნოზისთვის ახდენს გადახდილი და მომხდარი ზარალის, თითოეული მოთხოვნის საშუალო მოცულობისა (მოთხოვნების დარეგულირების ხარჯების ჩათვლით) და მოთხოვნების რაოდენობის ექსტრაპოლაციას წინა წლების ტენდენციებზე და ასევე მოსალოდნელი ზარალიანობის კოეფიციენტებზე დაყრდნობით. ისტორიული სადაზღვევო შემთხვევების დინამიკის გაანალიზება ხდება ზარალის დადგომის წლების მიხედვით, მაგრამ შეიძლება ასევე უფრო საფუძვლიანად გაანალიზდეს გეოგრაფიული არეალის, ასევე ბიზნესის მნიშვნელოვანი მიმართულებების და მოთხოვნების ტიპების მიხედვით. მსხვილი მოთხოვნები, როგორც წესი, ცალკე რეგულირდება ან ზარალის შემფასებლის მიერ დადგენილი თანხების ნომინალური ღირებულების დარეზერვებით, ან ცალკე პროგნოზირებით იმისათვის, რომ ასახოს მათი სამომავლო დინამიკა. უმეტეს შემთხვევაში მკაფიო დაშვებები არ კეთდება მოთხოვნების სამომავლო ინფლაციის განაკვეთების ან ზარალიანობის კოეფიციენტების შესახებ. ამის ნაცვლად გამოიყენება ისტორიული სადაზღვევო შემთხვევების დინამიკის მონაცემებში ნაგულისხმევი დაშვებები, რომლებსაც ეყრდნობა სამომავლო პროგნოზები. დამატებითი ხარისხობრივი განსჯა გამოიყენება იმის შესაფასებლად, თუ რამდენად შეიძლება მომავალში განმეორდეს წარსული ტენდენციები (მაგ. რომ ასახოს ერთჯერადი მოვლენები, ცვლილებები საგარეო ან საბაზრო ფაქტორებში, როგორცაა საზოგადოების დამოკიდებულება მოთხოვნებისადმი, ეკონომიკური პირობები, მოთხოვნების ინფლაციის დონეები, სასამართლო გადაწყვეტილებები და კანონმდებლობა, ასევე შიდა ფაქტორები, როგორცაა პორტფელის მიქსი, პოლისის მახასიათებლები და მოთხოვნების დარეგულირების პროცედურები), სავარაუდო საბოლოო მოთხოვნების დანახარჯის მისაღებად, რომელიც წარმოადგენს ალბათობით შეწონილ შესაძლო შედეგების მთელი დიაპაზონის მოსალოდნელ ღირებულებას, მათთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების გათვალისწინებით.

სხვა ძირითადი გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს დაშვებებზე, მოიცავს საპროცენტო განაკვეთის ცვლელადობას, მოთხოვნების ანაზღაურების დაგვიანებას და უცხოური ვალუტის კურსების ცვლილებებს.

##### რისკის კორექტირება არაფინანსური რისკის საფუძველზე

► რისკის კორექტირება არაფინანსური რისკის საფუძველზე არის კომპენსაცია, რომელსაც კომპანია მოითხოვს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების ფულადი ნაკადების ოდენობასა და წარმოშობის დროსთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის გამო. რისკის კორექტირება ასახავს თანხას, რომელსაც მზღვეველი გონივრულ ფარგლებში გადაიხდიდა იმ განუსაზღვრელობის აღმოსაფხვრელად, რომ მომავალი ფულადი ნაკადები გადააჭარბებს მოსალოდნელი ღირებულების ოდენობას.

რისკის კორექტირების განსაზღვრისთვის კომპანია იყენებს კაპიტალის ღირებულების მეთოდს. რისკის კორექტირების განსაზღვრისთვის კომპანია იყენებს კაპიტალის სავარაუდო ღირებულებას, რომელიც შეადგენდა 17.5%-ს 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აშშ-ის სახაზინო ფასიანი ქაღალდების ურისკო განაკვეთს, რომელიც დაკორექტირებულია ქართული ლარის რისკის მიხედვით აშშ დოლართან მიმართებით (განაკვეთი, რომლითაც საქართველოში ინფლაციის მიზნობრივი დონე აღემატება აშშ-ის ინფლაციის მიზნობრივ დონეს), ხელმძღვანელობის შეფასებით სავალდებულო კაპიტალს (მთლიანი სავალდებულო რეზერვების 10%) და საშუალო ვადა სადაზღვევო პოლისების ვადის ამოწურვამდე (რომელიც მიჩნეულია, რომ არის ერთი წელი). რისკის კორექტირების ოდენობა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 8 ლარი იყო.

#### 5. რეკლასიფიკაცია

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანიამ განაახლა სადაზღვევო აქტივებისა და ვალდებულებების წარმოდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ასევე სადაზღვევო შედეგის წარდგენა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, დარგობრივ პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. გარდა ამისა, კომპანიამ შეცვალა გარკვეული სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ეხება შემენის ფულად ნაკადებთან დაკავშირებული საკომისიო ვალდებულების აღრიცხვას, ასევე დასაკუთრებული აქტივების წარდგენას. შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრითა და 2024 წლის 1 იანვრით დასრულებული წლის შესადარისი ინფორმაცია რეკლასიფიცირდა, რათა შესაბამისობაში ყოფილიყო 2025 წელს დანერგილ წარდგენის ფორმასთან. განმარტებითი შენიშვნები შესაბამისად არის ჩასწორებული.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. რეკლასიფიკაცია (გაგრძელება)

<i>სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის</i>	<i>გადაანგარიშებამდე</i>	<i>რეკლასიფიკაციის ეფექტი</i>	<i>რეკლასიფიკაციის შემდეგ</i>
სადაზღვევო ამონაგები	4,066	20	4,086
<b>გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი</b>	<b>1,404</b>	<b>20</b>	<b>1,424</b>
გაუფასურების შემოსულობა (ხარჯი) სადაზღვევო ხელშეკრულებების აქტივებზე	20	(20)	-
<b>სხვა ხარჯები</b>	<b>(449)</b>	<b>(20)</b>	<b>(469)</b>
<b>ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>			
<b>აქტივები</b>			
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივი	93	(3)	90
სხვა აქტივები	241	(161)	80
<b>სულ აქტივები</b>	<b>15,425</b>	<b>(164)</b>	<b>15,261</b>
<b>ვალდებულებები</b>			
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება	974	(43)	931
სხვა ვალდებულებები	336	(121)	215
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>1,333</b>	<b>(164)</b>	<b>1,169</b>
<b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>	<b>15,425</b>	<b>(164)</b>	<b>15,261</b>
<b>ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>			
<b>აქტივები</b>			
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივი	107	(2)	105
სხვა აქტივები	401	(145)	256
<b>სულ აქტივები</b>	<b>12,535</b>	<b>(147)</b>	<b>12,388</b>
<b>ვალდებულებები</b>			
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება	606	(54)	552
სხვა ვალდებულებები	285	(93)	192
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>914</b>	<b>(147)</b>	<b>767</b>
<b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>	<b>12,535</b>	<b>(147)</b>	<b>12,388</b>

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

31 დეკემბრისთვის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს შემდეგს:

	<i>2025</i>	<i>2024</i>
მიმდინარე ანგარიშები	487	926
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ</b>	<b>487</b>	<b>926</b>

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

**6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (გაგრძელება)**

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ინდივიდუალურად 487 ლარს (2024 წ.: 926 ლარი) შეადგენს. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნით, სავალდებულო რეზერვის ანგარიშზე მინიმალური დონის ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების განთავსება ტექნიკური რეზერვების 10%-ის ოდენობით, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სავალდებულო რეზერვის მოთხოვნის შესახებ დადგენილების შესაბამისად.

**7. საბანკო ანაზრები**

31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო ანაზრები მოიცავს შემდეგს:

	2025	2024
სს „თიბისი ბანკი“	7,759	5,051
სს „კრედიტ ბანკი“	3,273	3,840
სს „საქართველოს ბანკი“	1,625	1,000
სს „ლიბერთი ბანკი“	1,273	3,969
<b>სულ საბანკო ანაზრები</b>	<b>13,930</b>	<b>13,860</b>
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (1-ელი სტადია)	(31)	(22)
<b>სულ წმინდა საბანკო ანაზრები</b>	<b>13,899</b>	<b>13,838</b>

საბანკო ანაზრები წარმოდგენილია საქართველოს ბანკებში მოკლევადიანი (3 თვიდან 12 თვემდე) და საშუალოვადიანი (13 თვიდან 24 თვემდე) განთავსებებით, რომლებზეც ირიცხება 11%-დან 14.2%-მდე წლიური პროცენტი (2024 წ.: 11%-დან 14.2%-მდე).

**8. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები**

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავდა შემდეგს:

2025	საბალანსო ღირებულება	ვალუტა	ფასიანი ქვადის ტიპი	ვადა	ნომინალური განაკვეთი
სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ“	200	ლარი	მარტივი თამასუქები	ოქტომბერი , 2026 წ.	14.00%
სს „საქართველოს უძრავი ქონება“	540	დოლარი	აშშ	ივლისი, 2026 წ.	8.5%
შპს „ალმა“	196	ევრო	ობლიგაცია	ივლისი, 2027 წ.	7.25%
	<b>936</b>				
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (1-ელი სტადია)	-				
<b>ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული წმინდა სავალო ინსტრუმენტები, სულ</b>	<b>936</b>				

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

**8. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები (გაგრძელება)**

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავდა შემდეგს:

<u>2024</u>	<u>საბალანსო ღირებულება</u>	<u>ვალუტა</u>	<u>ფასიანი ქაღალდის ტიპი</u>	<u>ვადა</u>	<u>ნომინალური განაკვეთი</u>
შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“	200	ლარი	მარტივი თამასუ- ქები	ოქტომბერი, 2025	14.00%
	<u>200</u>				
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (1-ელი სტადია)	-				
<b>ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული წმინდა სავალო ინსტრუმენტები, სულ</b>	<u><u>200</u></u>				

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

9. სადაზღვევო ხელშეკრულებები

გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა აქტივების ან ვალდებულებების ნაშთის მომდევნო პერიოდზე გადატანა, რომელიც ასახავს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას და დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილ ვალდებულებას

9.1 ავტო

	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება				სულ
	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება, რისკის კორექტირების გარდა	რისკის კორექტირება	დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივი	
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	169	688	15	59	931
სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა (აქტივები)/ვალდებულებები 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	169	688	15	59	931
სადაზღვევო ამონაგები (1%-იანი საზედამხედველო საკომისიოს გამოკლებით)	(3,737)	-	-	-	(3,737)
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	-	955	(7)	231	1,179
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები და სხვა ხარჯები დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ამორტიზაცია	-	955	(7)	-	948
	-	-	-	231	231
გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი	(3,737)	955	(7)	231	(2,558)
ეფექტი სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკაზე	4	(4)	-	-	-
სულ ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფულადი ნაკადები	(3,733)	951	(7)	231	(2,558)
მიღებული პრემიები	3,049	-	-	-	3,049
მოთხოვნების დარეგულირება	-	(1,220)	-	-	(1,220)
დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები	-	-	-	(202)	(202)
სულ ფულადი ნაკადები	3,049	(1,220)	-	(202)	1,627
სხვა ცვლილებების დინამიკა/ურთიერთგადაფარვა	666	(303)	-	(64)	299
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული წმინდა (აქტივები)/ვალდებულებები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	151	116	8	24	299
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	151	116	8	24	299
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული წმინდა (აქტივები)/ვალდებულებები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	151	116	8	24	299

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

**9. სადაზღვევო ხელშეკრულებები (გაგრძელება)**

გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა აქტივების ან ვალდებულებების ნაშთის მომდევნო პერიოდზე გადატანა, რომელიც ასახავს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას და დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილ ვალდებულებას (გაგრძელება)

9.1 ავტო (გაგრძელება)

	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება				სულ
	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება, რისკის კორექტირების გარდა	რისკის კორექტირება	დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივი	
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	86	425	9	32	552
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული წმინდა (აქტივები)/ვალდებულებები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	86	425	9	32	552
სადაზღვევო ამონაგები (1%-იანი საზედამხედველო საკომისიოს გამოკლებით)	(4,080)	-	-	-	(4,080)
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	-	2,355	6	294	2,655
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები და სხვა ხარჯები დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ამორტიზაცია	-	2,355	6	-	2,361
	-	-	-	294	294
გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი	(4,080)	2,355	6	294	(1,425)
ეფექტი სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკაზე	17	3	-	-	20
სულ ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფულადი ნაკადები	(4,063)	2,358	6	294	(1,405)
მიღებული პრემიები	3,619	-	-	-	3,619
მოთხოვნების დარეგულირება	-	(1,800)	-	-	(1,800)
დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები	-	-	-	(286)	(286)
სულ ფულადი ნაკადები	3,619	(1,800)	-	(286)	1,533
სხვა ცვლილებების დინამიკა/ურთიერთგადაფარვა	527	(295)	-	19	251
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული წმინდა (აქტივები)/ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	169	688	15	59	931
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	169	688	15	59	931
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული წმინდა (აქტივები)/ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	169	688	15	59	931

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

**9. სადაზღვევო ხელშეკრულებები (გაგრძელება)**

გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა აქტივების ან ვალდებულებების ნაშთის მომდევნო პერიოდზე გადატანა, რომელიც ასახავს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას და დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილ ვალდებულებას (გაგრძელება)

სხვა ცვლილების დინამიკა/ურთიერთგადაფარვა შედგება აგრეგირებული თანხისგან, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- ▶ მოთხოვნებისა და პრემიების ურთიერთგადაფარვა;
- ▶ სხვადასხვა ცვლილების სხვა დინამიკა, მათ შორის ჩამოწერები და მსგავსი კორექტირებები.

**9.2 ვალდებულება**

	<b>დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება</b>				<b>სულ</b>
	<b>დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება</b>	<b>დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება, რისკის კორექტირების გარდა</b>	<b>რისკის კორექტირება</b>	<b>დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივი</b>	
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(92)	2	-	-	(90)
სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა (აქტივები)/ვალდებულებები 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(92)	2	-	-	(90)
სადაზღვევო ამონაგები (1%-იანი საზედამხედველო საკომისიოს გამოკლებით)	(14)	-	-	-	(14)
გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი	(14)	-	-	-	(14)
ეფექტი სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკაზე	(4)	-	-	-	(4)
სულ ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფულადი ნაკადები მიღებული პრემიები	(18)	-	-	-	(18)
სულ ფულადი ნაკადები	2	-	-	-	2
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული წმინდა (აქტივები)/ვალდებულებები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(108)	2	-	-	(106)
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(108)	2	-	-	(106)
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული წმინდა (აქტივები)/ვალდებულებები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(108)	2	-	-	(106)

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

**9. სადაზღვევო ხელშეკრულებები (გაგრძელება)**

გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა აქტივების ან ვალდებულებების ნაშთის მომდევნო პერიოდზე გადატანა, რომელიც ასახავს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას და დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილ ვალდებულებას (გაგრძელება)

	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება				
	გარდა ზარალის კომპონენტისა	სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების შეფასება	რისკის კორექტირება	დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივი	მთლიანი, გარდა ზარალის კომპონენტისა
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(107)	2	-	-	(105)
სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა (აქტივები)/ვალდებულებები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(107)	2	-	-	(105)
სადაზღვევო ამონაგები (1%-იანი საზედამხედველო საკომისიოს გამოკლებით)	(47)	-	-	-	(47)
გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი	(47)	-	-	-	(47)
ეფექტი სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკაზე	(12)	-	-	-	(12)
სულ ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	(59)	-	-	-	(59)
ფულადი ნაკადები					
მიღებული პრემიები	74	-	-	-	74
სულ ფულადი ნაკადები	74	-	-	-	74
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული წმინდა (აქტივები)/ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(92)	2	-	-	(90)
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(92)	2	-	-	(90)
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული წმინდა (აქტივები)/ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(92)	2	-	-	(90)

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სადაზღვევო ხელშეკრულებები მოიცავს სადაზღვევო პროდუქტებს, რომლებიც, ცალკე აღებული, უმნიშვნელოა.

**10. გადასახადები**

2024 წლის 1 იანვარს საქართველოში ამოქმედდა ახალი საგადასახადო რეჟიმი სადაზღვევო კომპანიებისთვის. 2024 წლიდან კომპანია დაექვემდებარა 0%-იან საგადასახადო განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე, ხოლო მოგების გადასახადი ერიცხება ფიზიკურ პირებზე დივიდენდების სახით განაწილებულ მოგებას, და არა არსებული კანონმდებლობის ფარგლებში გამომუშავებულ მოგებას. დივიდენდების განაწილებაზე საგადასახადო ვალდებულებების ოდენობა გამოითვლება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

**10. გადასახადები (გაგრძელება)**

კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალოს 2015-2025 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

2025 წელს კომპანიამ მშობელ საწარმოს გაუნაწილა 2,500 ლარის დივიდენდები (2024 წ.: 0 ლარი). საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, აღიარებული გარიგება არ დაექვემდებარა დაბეგვრას.

**11. სხვა აქტივები**

31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა აქტივები მოიცავდა შემდეგს:

	<i>2025</i>	<i>2024</i>
გადახდილი ავანსები	67	35
სხვა	60	45
<b>მთლიანი სხვა აქტივები</b>	<b>127</b>	<b>80</b>

**12. საკუთარი კაპიტალი**

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის სააქციო კაპიტალი შედგება 2,500,000 ჩვეულებრივი აქციისგან. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) ლარი (არა ათასებში). 2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქციონერი არის სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“ – 100%.

2025 წელს კომპანიამ მშობელ საწარმოს გაუნაწილა 2,500 ლარის დივიდენდები (2024 წ.: 0 ლარი). ერთ აქციაზე დივიდენდმა 1 ლარი შეადგინა.

**13. სხვა ვალდებულებები**

31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ვალდებულებები მოიცავდა შემდეგს:

	<i>2025</i>	<i>2024</i>
გადასახდელი საოპერაციო გადასახადი	12	129
სავაჭრო ვალდებულებები	51	78
მიღებული ანაზრები	3	3
დასაკმებულთა კომპენსაციის დანარიცხები	1	5
<b>სხვა ვალდებულებები</b>	<b>67</b>	<b>215</b>

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

**14. ინვესტიციის შედეგი**

საინვესტიციო შემოსავალი ფინანსური ინსტრუმენტებიდან შედგებოდა ეფექტური საპროცენტო განაკვეთით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავლისგან:

	<i>2025</i>	<i>2024</i>
საბანკო ანაბრები	1,518	1,491
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	59	28
<b>ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>1,577</b>	<b>1,519</b>
შემოსულობა/ზარალი ფინანსური აქტივების გაუფასურების შედეგად	(9)	(3)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი)	(19)	1
<b>ინვესტიციის შედეგი</b>	<b>1,549</b>	<b>1,517</b>

**15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები**

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს შემდეგს:

	<i>2025</i>	<i>2024</i>
საწევრო შენატანები	(346)	(308)
იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურება	(57)	(57)
ბანკებისთვის გადახდილი გასამრჯელო და საკომისიო	(3)	(2)
საოპერაციო გადასახადები	(1)	(2)
სხვა	(-)	(14)
<b>სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები</b>	<b>(407)</b>	<b>(383)</b>

კომპანიის აუდიტორის ანაზღაურება 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შედგება კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გასამრჯელოსგან 50 ლარის ოდენობით (2024 წ.: კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გასამრჯელო 55 ლარის ოდენობით), დღგ-ის გარეშე.

**16. რისკის მართვა**

კომპანიის საქმიანობას ახასიათებს რამდენიმე რისკი. ამიტომ რისკის მართვა მისი სადაზღვევო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. რისკი კომპანიის საქმიანობისთვის გარდაუვალია, მაგრამ მათი მართვა ხდება მუდმივი იდენტიფიკაციით, შეფასებითა და ყოველდღიური მონიტორინგით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების გათვალისწინებით. კომპანიის შიგნით თითოეული პირი პასუხისმგებელია თავისი საქმიანობის სფეროში რისკების მართვაზე. კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი ფინანსური რისკები უკავშირდება საკრედიტო საქმიანობას, ლიკვიდობას და ბაზარზე საპროცენტო და სავალუტო კურსების თუ აქციების ფასების ცვალებადობას. ქვემოთ მოცემულია ამ რისკებთან მიმართებაში კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკის მოკლე აღწერა.

**მართვის ჩარჩო**

კომპანიის რისკებისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია მისი დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს კომპანიის საქმიანობის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აღიარებს რისკების ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

## 16. რისკის მართვა (გაგრძელება)

### მართვის ჩარჩო (გაგრძელება)

კომპანიამ დააფუძნა რისკის მართვის ფუნქცია დირექტორთა საბჭოსთვის, მისი კომიტეტებისა და დაკავშირებული აღმასრულებელი მმართველი კომიტეტებისათვის განკუთვნილი უფლებამოსილების აღწერილობით. ასევე შემუშავებულ იქნა მკაფიო ორგანიზაციული სტრუქტურა საბჭოს მიერ აღმასრულებელი მმართველი კომიტეტებისა და ზედა რგოლის ხელმძღვანელებისთვის დოკუმენტირებული დელეგირებული უფლებებითა და პასუხისმგებლობით. და ბოლოს, დანერგულია კომპანიის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საერთაშორისო საქმიანობის სტანდარტებს. თითოეულ პოლიტიკას მიჩენილი ჰყავს ზედა რგოლის ხელმძღვანელობის წევრი, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიაში პოლიტიკის დაცვის უზრუნველყოფაზე.

საბჭომ დაამტკიცა კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემატურად იკრიბება პოლიტიკაში ნებისმიერი კომერციული, ნორმატიული ან ორგანიზაციული მოთხოვნების დასამტკიცებლად. პოლიტიკა განსაზღვრავს კომპანიის მიერ რისკების განსაზღვრასა და განმარტებას, ლიმიტის სტრუქტურას, რათა უზრუნველყოს აქტივების სათანადო ხარისხი და დივერსიფიკაცია, ანდერაიტინგის სტრატეგიის შესაბამისობა კომპანიის მიზნებთან და ანგარიშგების მოთხოვნების დაზუსტება.

### კაპიტალის მართვის მიზნები

კომპანიას განსაზღვრული აქვს კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პრინციპები და იმ რისკების მართვის მეთოდები, რომლებიც მისი კაპიტალის მდგომარეობაზე მოქმედებს:

- ▶ კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით პოლისის მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ▶ კაპიტალის ეფექტურად გამოყოფა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს აქციონერთა მოთხოვნებს;
- ▶ ფინანსური მოქნილობის უზრუნველყოფა ლიკვიდობის მაღალი დონის შენარჩუნებით;
- ▶ მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და პოლისების მფლობელების, მარეგულირებელი ორგანოებისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კომპანიის საქმიანობა ასევე ექვემდებარება ადგილობრივ ნორმატიულ მოთხოვნებს იმ იურისდიქციის ფარგლებში, რომელშიც საქმიანობა უხდება. ასეთი ნორმატიული მოთხოვნები არა მხოლოდ განსაზღვრავს დამტკიცებისა და მონიტორინგის საქმიანობას, არამედ აწესებს შემზღვეველ ნორმებს სადაზღვევო კომპანიების მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობისა და გადახდისუუნარობის რისკის მინიმუმამდე დასაყვანად, რათა მათ შემღონ გაუთვალისწინებელი ვალდებულებების დროულად შესრულება. კომპანიის სადაზღვევო და არასადაზღვევო საქმიანობისთვის განკუთვნილი კაპიტალის მართვის პოლიტიკა გულისხმობს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დირექტივებით გათვალისწინებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საკმარისი ლიკვიდური აქტივების ფლობას.

### კაპიტალის მართვის მეთოდი

კომპანია ცდილობს კაპიტალის სტრუქტურისა და წყაროების ოპტიმიზაციას, რათა მუდმივად ხდებოდეს აქციონერებისა და პოლისების მფლობელთა მოგების მაქსიმიზაცია.

კომპანიის მიერ კაპიტალის მართვის მეთოდი გულისხმობს აქტივების, ვალდებულებებისა და რისკების კოორდინირებულ მართვას, გაცხადებული და სავალდებულო კაპიტალის დონეებს შორის არსებული სხვაობის რეგულარულად შეფასებას და კომპანიის კაპიტალის მდგომარეობაზე გავლენის მოსახდენად შესაბამისი ზომების მიღებას.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

## 16. რისკის მართვა (გაგრძელება)

### მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნები

საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნები საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიებისთვის დაწესებულია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ და კომპანიის შიდა სადაზღვევო კომპანიებზე მხოლოდ ინდივიდუალურად ვრცელდება. 2021 წლის 31 დეკემბრიდან, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნით, სავალდებულოა მინიმალური საწესდებო კაპიტალის შენარჩუნება 7,200 ლარის ოდენობით სიცოცხლის დაზღვევისთვის, 7,200 ლარის ოდენობით სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევისთვის, თავდებობისა და საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევისთვის, 4,800 ლარის ოდენობით – არასიცოცხლის დაზღვევისთვის და 7,200 ლარის ოდენობით – გადაზღვევისთვის, რომლის 100% ბანკში ნაღდი ფულის ნაშთის ან საბანკო ანაზღაურების სახით უნდა განთავსდეს. ბანკის დასტურის წერილი საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს ყოველთვიურად წარედგინება ზემოაღნიშნულ სავალდებულო მოთხოვნასთან შესაბამისობის დასამტკიცებლად.

მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნის გარდა, 2018 წლის 1 იანვრიდან სადაზღვევო კომპანიებს ასევე მოეთხოვებათ გარკვეული გადახდისუნარიანობის კოეფიციენტის შენარჩუნება, რომელიც გამოითვლება საზედამხედველო კაპიტალის გაყოფით გადახდისუნარიანობის სავალდებულო კაპიტალზე, და უნდა შეადგენდეს 100%-ზე მეტს. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური განსაზღვრავს აქტივების ტიპებს, რომლებიც შეიძლება მზღვეველმა გამოიყენოს საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. საზედამხედველო კაპიტალი შეიცავს მთლიან საკუთარ კაპიტალს, რომელსაც აკლდება არამატერიალური აქტივები და გუდვილი, გადავადებული აკვიზიციური ხარჯები, გადავადებული საგადასახადო აქტივები, გაცემული არაუზრუნველყოფილი სესხები, უზრუნველყოფის სახით დაგირავებული აქტივები სხვა მხარეების სახელით, ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში 100 ლარზე მეტის ოდენობით, სხვა აქტივები, შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების 100%, საინვესტიციო ქონების 30% და გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივებისა და დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული აქტივების 10%. ფას-ის მიხედვით მიღებული შედეგები და რეზერვები გარკვეულწილად კორექტირდება საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მითითებების შესაბამისად.

გადახდისუნარიანობის სავალდებულო კაპიტალი არის შემდეგ ორს შორის უდიდესი: 100 მილიონ ლარამდე მოზიდული პრემიების 18%-ს დამატებული 100 მილიონი ლარის ზემოთ პრემიის 16% და 70 მილიონ ლარამდე მოთხოვნების 26%-ს დამატებული 70 მილიონ ლარს ზემოთ მოთხოვნების 23%. ბიზნესის მაღალი რისკის კლასებისთვის პრემია იზრდება ამ გაანგარიშების მიზნებისთვის.

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანია აკმაყოფილებდა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნებს.

### სადაზღვევო რისკი

სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული რისკი არის რისკი იმისა, რომ სადაზღვევო შემთხვევა დადგება, თანაც მისით გამოწვეული ზარალის ოდენობის და წარმოშობის დროის განსაზღვრა შეუძლებელია. კომპანიისთვის ასეთი ხელშეკრულებებით განპირობებული ძირითადი რისკი ისაა, რომ რეალურმა ზარალმა და გადახდილმა ანაზღაურებამ გადააჭარბოს სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას. ამაზე გავლენას ახდენს ზარალის სიხშირე, მასშტაბი, რეალურად გადახდილი ანაზღაურება, რომელიც მოსალოდნელზე მეტია და გრძელვადიანი მოთხოვნების შემდგომი ცვლილება.

რისკის ცვალებადობა იმართება ზარალის რისკის სადაზღვევო ხელშეკრულებების დიდ პორტფელზე დივერსიფიცირებით, რადგანაც შედარებით დივერსიფიცირებული პორტფელზე ნაკლებად მოახდენს გავლენას პორტფელის რომელიმე ნაწილში მომხდარი ცვლილება და გაუთვალისწინებელი შედეგები. რისკების ცვალებადობა ასევე იმართება ანდერაიტინგის სტრატეგიისა ფრთხილი შერჩევითა და განხორციელებით. კომპანია ადგენს ანდერაიტინგის წესებსა და ლიმიტებს, რომლებითაც განისაზღვრება, ვის რა რისკის მიღება შეუძლია და რა დასაშვებია ზღვრების ფარგლებში. ამ ლიმიტების მონიტორინგი მუდმივად წარმოებს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

## 16. რისკის მართვა (გაგრძელება)

### სადაზღვევო რისკი (გაგრძელება)

სადაზღვევო რისკების მონიტორინგისთვის კომპანია ძირითადად იყენებს ზარალიანობისა და კომბინირებულ კოეფიციენტებს. ზარალიანობის კოეფიციენტი მიიღება წმინდა სადაზღვევო მოთხოვნების შეფარდებით წმინდა სადაზღვევო ამონაგებთან. კომბინირებული კოეფიციენტი წარმოადგენს ზარალიანობის და ხარჯების კოეფიციენტების ჯამს. ხარჯების კოეფიციენტი განისაზღვრება, როგორც საოპერაციო ხარჯები, წმინდა საპროცენტო შემოსავლისა და საკურსო ზარალის გამოკლებით, შეფარდებული წმინდა სადაზღვევო ამონაგებთან. კომპანიის ზარალიანობისა და კომბინირებული კოეფიციენტები გამოითვლება ნეტოს საფუძველზე შემდეგნაირად:

	2025	2024
ზარალიანობის კოეფიციენტი	25%	58%
კომბინირებული კოეფიციენტი	45%	77%

### ძირითადი დაშვებები

ზარალის რეზერვი იქმნება ვალდებულებების შესრულების საერთო ხარჯის დასაფარად იმ ზარალთან მიმართებაში, რომელიც მომხდარი და შეფასებულია ანგარიშგების დღისთვის ცნობილ ფაქტებზე, მათ შორის პოტენციური ასანაზღაურებელი ზარალის შეტყობინებებსა, ანალოგიური ზარალის გამოცდილებასა და პრეცედენტული პრაქტიკაზე დაყრდნობით, საანგარიშგებო თარიღით და საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

კომპანიამ გამოიყენა ყველა შესაძლო და მის ხელთ არსებული ინფორმაცია პოლისების მფლობელთა მიერ გაცხადებული ზარალის რეზერვების, მათ შორის ზარალების დაკორექტირების ხარჯების შესაფასებლად, სადაზღვევო ხელშეკრულებების თითოეული კლასის მიხედვით. გარდა ამისა, უფრო მსხვილი გაცხადებული ზარალი ჩვეულებრივ, ცალ-ცალკე ფასდება ზარალის მაკორექტირებელი ფაქტორებით. ზარალის პროგნოზირების დაშვებები, ჩვეულებრივ, მიზნად ისახავს წარმოადგინოს ყველაზე დიდი ალბათობის მქონე ან მოსალოდნელი შედეგების მაქსიმალური შესაძლო სიზუსტით შეფასება.

ძირითადი დაშვება, რომელსაც ეყრდნობა შეფასებები არის ის, რომ კომპანიის წარსულში მიღებული და სამომავლო სადაზღვევო შემთხვევების დინამიკის გამოიყენება სამომავლო სადაზღვევო შემთხვევების დინამიკისა და, შესაბამისად, ზარალის მთლიანი მოცულობის პროგნოზირებისთვის. ეს მეთოდი ახდენს გადახდილი და მომხდარი ზარალის ტენდენციების ექსტრაპოლაციას, წინა წლების ტენდენციებზე დაკვირვების შედეგად მიღებულ დასკვნებზე დაყრდნობით. წარსულში სადაზღვევო შემთხვევების დინამიკის გაანალიზება ხდება ზარალის დადგომის წლებისა და ასევე საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით. დამდგარ სადაზღვევო შემთხვევებთან დაკავშირებით სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები მოზიდული დაზღვევის შემთხვევაში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სავალუტო კურსის მერყეობაზე, რადგანაც ამ ხელშეკრულებების სადაზღვევო ვალდებულებები აშშ დოლარშია გამოხატული.

### მგრძობელობა

დამდგარ სადაზღვევო შემთხვევებთან დაკავშირებული სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები მგრძობიარეა ზემოაღნიშნული ძირითადი დაშვებების მიმართ. იმ დაყოვნების გამო, რასაც ადგილი აქვს ზარალის დადგომასა და მის შემდგომ შეტყობინებასა და საბოლოო ანაზღაურებას შორის, დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი დაუფარავი ვალდებულება საანგარიშგებო თარიღისთვის ზუსტად არ არის ცნობილი. ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები წარმოიშობა ზარალის სიხშირისა და მოცულობის ცვლილებების შედეგად – მოთხოვნების რაოდენობა და მოთხოვნის საშუალო თანხა ძირითადი ამოსავალი მონაცემებია ავტოტრანსპორტთან დაკავშირებული დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი დაუფარავი ვალდებულების განსაზღვრისთვის. ავტოტრანსპორტთან დაკავშირებით დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი დაუფარავი ვალდებულება საკმაოდ მგრძობიარეა ლარის გაუფასურებისადმი და სავალუტო რისკისადმი, ვინაიდან მანქანის შეკეთების ხარჯის მნიშვნელოვანი ნაწილი მიხმულია უცხოურ ვალუტებთან.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

**16. რისკის მართვა (გაგრძელება)**

**სადაზღვევო რისკი (გაგრძელება)**

ცხრილებში მოცემულია სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული წმინდა (აქტივების)/ვალდებულებების კონცენტრაცია ხელშეკრულებების ტიპების მიხედვით:

	2025	2024
	დაზღვევა	დაზღვევა
ავტო	299	931
პასუხისმგებლობა	(106)	(90)
სხვა	3	1
	<b>196</b>	<b>842</b>

**ფინანსური რისკი**

**(ა) საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე ერთი მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს. კომპანია მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პროცენტით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს კომპანიისთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეული კონტრაქტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაქტები ერთდროულად მოვალეები არიან და კრედიტორებიც; უზრუნველყოფისა და თავდებობის მიღების წესები, საკრედიტო რისკებისა და დარღვევების შესახებ მაკონტროლებელი ორგანოს შეტყობინება, საკრედიტო რისკის პოლიტიკასთან შესაბამისობის კონტროლი და მისი რეგულარული გადამოწმება აქტუალურობის შესანარჩუნებლად და გარემოში მომხდარი ცვლილებების გასათვალისწინებლად. ქვემოთ მოკლედ არის აღწერილი, როგორ მართავს კომპანია თავის საკრედიტო რისკს.

*აქტივების საკრედიტო ხარისხი და საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა*

საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა წარმოდგენილია შესაბამისი ფინანსური აქტივების და სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივების საბალანსო ღირებულებებით 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

*საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით*

ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის მუდმივი მონიტორინგი ხდება საკრედიტო ხარისხში შესაძლო უარყოფითი ცვლილებების დროულად გამოსავლენად. ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის საკრედიტო რისკის მოცულობის შესახებ. არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ეყრდნობა A.M. Best, Moody's, S&P Global და Fitch-ს მიერ მინიჭებულ გარე რეიტინგებს.

31 დეკემბერი, 2025 წ.	შენიშ- ვები	სტადა	BB+	BB	BB-	B+	B	B-	რეიტინგი ს გარეშე	სულ
		1- ელი სტად								
საბანკო ანაბრები	7	ია	-	9,367	-	4,532	-	-	-	13,899
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	8	1- ელი სტად ია	-	-	-	-	-	200	736	936
<b>სულ</b>			<b>-</b>	<b>9,367</b>	<b>-</b>	<b>4,532</b>	<b>-</b>	<b>200</b>	<b>736</b>	<b>14,835</b>

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

**16. რისკის მართვა (გაგრძელება)**

**ფინანსური რისკი (გაგრძელება)**

31 დეკემბერი, 2024 წ.	შენიშ- ვნები	სტადია	BB+	BB	BB-	B+	B	B-	რეიტინ- გის გარეშე	სულ
		1- ელი სტა- დია	-	6,044	-	3,965	3,829	-	-	13,838
საბანკო ანაბრები ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული	7									
სავალო ინსტრუმენ- ტები	8	1- ელი სტა- დია	-	-	-	-	-	200	-	200
<b>სულ</b>			<b>-</b>	<b>6,044</b>	<b>-</b>	<b>3,965</b>	<b>3,829</b>	<b>200</b>	<b>-</b>	<b>14,038</b>

**(ბ) ლიკვიდობის რისკი**

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანიას გაუჭირდება სახსრების მოზიდვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფულადი ვალდებულებების შესასრულებლად. ლიკვიდობის რისკი შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულებით სწრაფად გაყიდვის უუნარობამ, კონტრაქტის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობამ, სადაზღვევო ვალდებულების მოსალოდნელზე ადრე გადახდის აუცილებლობამ ან დაგეგმილი ფულადი ნაკადების მიღების უუნარობამ.

კომპანიის წინაშე მდგარი ყველაზე დიდი ლიკვიდობის რისკი არის მისი ხელმისაწვდომი ფულადი რესურსების ყოველდღიური საჭიროება სადაზღვევო ხელშეკრულებების საფუძველზე წამოყენებული მოთხოვნებისა და სასესხო ფასიანი ქაღალდებზე გადახდის ვადის დადგომის გამო.

კომპანია ლიკვიდობას მართავს კომპანიის ლიკვიდობის რისკის პოლიტიკის მეშვეობით, რომელიც განმარტავს იმას, თუ რა წარმოადგენს კომპანიისთვის ლიკვიდობის რისკს, განსაზღვრავს სახსრების მინიმალურ პროპორციას სასწრაფო საჭიროებისთვის; სარეზერვო ფონდის შექმნის გეგმას, დაფინანსების წყაროებს და მოვლენებს, რომლებიც მოქმედებაში მოიყვანდა გეგმას, დაფინანსების წყაროების კონცენტრაციას, მაკონტროლებელი ორგანოსთვის ლიკვიდობის რისკის არსებობისა და დარღვევის შემთხვევების შეტყობინებას, ლიკვიდობის რისკის პოლიტიკასთან შესაბამისობის კონტროლსა და მის რეგულარულ გადამოწმებას აქტუალურობის შესანარჩუნებლად და გარემოში მომხდარი ცვლილებების გასათვალისწინებლად.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

**16. რისკის მართვა (გაგრძელება)**

**ფინანსური რისკი (გაგრძელება)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფების ანალიზი შესაბამისი ვადიანობის მიხედვით, ანგარიშგების თარიღისთვის ხელშეკრულების ამოწურვის ან დაფარვის მოსალოდნელ თარიღამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად.

<i>31 დეკემბერი, 2025 წ.</i>	<i>ერთი წელში</i>	<i>ერთ წელზე მეტ ვადაში</i>	<i>სულ</i>
<b>აქტივები</b>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	487	-	487
საბანკო ანაზრები	8,628	5,271	13,899
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	740	196	936
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივები	106	-	106
მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივები	-	-	106
სხვა აქტივები	127	-	127
<b>სულ აქტივები</b>	<b>10,088</b>	<b>5,467</b>	<b>15,661</b>
<b>ვალდებულებები</b>			
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება	302	-	302
სხვა ვალდებულებები	67	-	173
საიჯარო ვალდებულებები	25	-	25
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>394</b>	<b>-</b>	<b>500</b>
<b>ნეტო პოზიცია</b>	<b>9,694</b>	<b>5,467</b>	<b>15,161</b>
<b>აკუმულირებული გეპი</b>	<b>9,694</b>	<b>15,161</b>	
<i>31 დეკემბერი, 2024 წ.</i>	<i>ერთი წელში</i>	<i>ერთ წელზე მეტ ვადაში</i>	<i>სულ</i>
<b>აქტივები</b>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	926	-	926
საბანკო ანაზრები	11,242	2,596	13,838
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	200	-	200
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივები	90	-	90
მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივები	107	-	107
სხვა აქტივები	80	-	80
<b>სულ აქტივები</b>	<b>12,645</b>	<b>2,596</b>	<b>15,241</b>
<b>ვალდებულებები</b>			
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება	931	-	931
სხვა ვალდებულებები	215	-	215
საიჯარო ვალდებულებები	23	-	23
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>1,169</b>	<b>-</b>	<b>1,169</b>
<b>ნეტო პოზიცია</b>	<b>11,476</b>	<b>2,596</b>	<b>14,072</b>
<b>აკუმულირებული გეპი</b>	<b>11,476</b>	<b>14,072</b>	

ხელმძღვანელობის აზრით „კომპანია“ საკმარისი ლიკვიდობა აქვს არსებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

**16. რისკის მართვა (გაგრძელება)**

**ფინანსური რისკი (გაგრძელება)**

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არადისკონტირებული დაფარვის სახელშეკრულებო ვალდებულებების საფუძველზე ასეთია:

<i>31 დეკემბერი, 2025 წ.</i>	<i>3 თვეზე ნაკლები</i>	<i>3-დან 12 თვემდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
სხვა ვალდებულებები	67		-	-	173
საიჯარო ვალდებულებები	-	25	-	-	25
<b>სულ არადისკონტირებული ვალდებულებები</b>	<b>67</b>	<b>25</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>92</b>

  

<i>31 დეკემბერი, 2024 წ.</i>	<i>3 თვეზე ნაკლები</i>	<i>3-დან 12 თვემდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
სხვა ვალდებულებები	212	3	-	-	215
საიჯარო ვალდებულებები	1	22	-	-	23
<b>სულ არადისკონტირებული ვალდებულებები</b>	<b>213</b>	<b>25</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>238</b>

დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება:

<i>1 წლამდე</i>	<i>2025</i>	<i>2024</i>
ავტო	299	931
სხვა	3	1
	<b>302</b>	<b>932</b>

**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების რისკი საბაზრო ფაქტორების, მაგალითად საპროცენტო განაკვეთებისა და ვალუტის კურსის მერყეობის შედეგად.

კომპანიის დასაშვები საბაზრო რისკის დონეებს ანაწილებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დირექტივების დაცვით, სავალდებულო სადაზღვევო რეზერვების უზრუნველსაყოფად ნებადართული აქტივებისა და ამ აქტივების სტრუქტურის შესახებ. ეს დირექტივა განსაზღვრავს იმას, თუ რა წარმოადგენს კომპანიისთვის საბაზრო რისკს, აქტივების გამოყოფასა და პორტფელის ლიმიტების სტრუქტურას, დივერსიფიკაციის სტანდარტებს ინსტრუმენტების ტიპებისა და გეოგრაფიულ არეალის მიხედვით, ასევე ადგენს რისკის წმინდა (ნეტო) ლიმიტებს თითოეული კონტრაქტის ან კონტრაქტების ჯგუფის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროს მიხედვით.

*სავალუტო რისკი*

კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე მოქმედებს სავალუტო კურსების მერყეობა. კომპანიის გარიგებები ძირითადად ლარში ხორციელდება. სავალუტო რისკი წარმოდგება აშშ დოლარსა და ევროსთან მიმართებაში, რადგანაც აშშ დოლარში გამოხატული სადაზღვევო ოპერაციები კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

კომპანიის ფინანსური აქტივები ძირითადად გამოხატულია იმავე ვალუტაში, რაშიც მისი სადაზღვევო და საინვესტიციო ვალდებულებები, რაც ამცირებს სავალუტო რისკს საერთაშორისო ოპერაციების შემთხვევაში. ამრიგად, სავალუტო რისკი ძირითადად ახასიათებს მომავალში დასაფარი სადაზღვევო და საინვესტიციო ვალდებულებებისგან განსხვავებულ ვალუტებში გამოხატულ აქტივებსა და ვალდებულებებს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

**16. რისკის მართვა (გაგრძელება)**

**საბაზრო რისკი (გაგრძელება)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ის ვალუტები, რომლებში გამოხატულ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებზე კომპანიას 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მნიშვნელოვანი რისკი ჰქონდა. ანალიზი გამოითვლის ლართან მიმართებაში სავალუტო კურსის რეალურად მოსალოდნელი მერყეობის გავლენას, როდესაც ყველა სხვა ცვლადი მუდმივია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ცხრილში უარყოფითი რიცხვები ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ხოლო დადებითი რიცხვები - პოტენციურ წმინდა ზრდას.

	<i>2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>			
	<i>ლარი</i>	<i>აშშ დოლარი</i>	<i>ევრო</i>	<i>სულ</i>
<b>აქტივები</b>				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	462	25	-	<b>487</b>
საბანკო ანაზრები	13,899	-	-	<b>13,899</b>
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	200	540	196	<b>936</b>
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივი	86	13	7	<b>106</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>14,647</b>	<b>578</b>	<b>203</b>	<b>15,428</b>
<b>ვალდებულებები</b>				
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება	246	28	28	<b>302</b>
სხვა ვალდებულებები	67	-	-	<b>173</b>
საიჯარო ვალდებულებები	25	-	-	<b>25</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>338</b>	<b>28</b>	<b>28</b>	<b>394</b>
<b>ნეტო პოზიცია</b>	<b>14,309</b>	<b>550</b>	<b>175</b>	<b>15,034</b>
სავალუტო კურსის პროცენტული ზრდა		15%	15%	
გავლენა მოგებაზე		83	26	
სავალუტო კურსის პროცენტული შემცირება		-3.0%	-3.0%	
გავლენა მოგებაზე		(17)	(5)	

	<i>2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>			
	<i>ლარი</i>	<i>აშშ დოლარი</i>	<i>ევრო</i>	<i>სულ</i>
<b>აქტივები</b>				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	925	1	-	<b>926</b>
საბანკო ანაზრები	13,838	-	-	<b>13,838</b>
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	200	-	-	<b>200</b>
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივი	68	16	6	<b>90</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>15,031</b>	<b>17</b>	<b>6</b>	<b>15,054</b>
<b>ვალდებულებები</b>				
სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება	845	88	2	<b>931</b>
სხვა ვალდებულებები	215	-	-	<b>215</b>
საიჯარო ვალდებულებები	23	-	-	<b>23</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>1,083</b>	<b>88</b>	<b>(2)</b>	<b>1,169</b>
<b>ნეტო პოზიცია</b>	<b>13,948</b>	<b>(71)</b>	<b>8</b>	<b>13,885</b>
სავალუტო კურსის პროცენტული ზრდა		15%	15%	
გავლენა მოგებაზე		(11)	1	
სავალუტო კურსის პროცენტული შემცირება		-3.0%	-3.0%	
გავლენა მოგებაზე		2	-	

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

**17. სამართლიანი ღირებულების შეფასება**

**სამართლიანი ღირებულების იერარქია**

ქვემოთ ცხრილში მოცემულია იმ აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი, რომლებიც სამართლიანი ღირებულებითაა შეფასებული ან რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც მოცემულია სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მათი დონის მიხედვით:

	<i>დონე 1</i>	<i>დონე 2</i>	<i>დონე 3</i>	<i>სულ 2025</i>
<b>აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი</b>				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	487	–	–	487
საბანკო ანაბრები	–	13,899	–	13,899
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	–	936	–	936
				<i>მთლიანი 2024 წ.</i>
<b>აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი</b>				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	926	–	–	926
საბანკო ანაბრები	–	13,838	–	13,838
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	–	200	–	200

ქვემოთ აღწერილია შეფასების ხერხებით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა შეფასების მეთოდებით. კომპანიამ გამოიყენა ის დაშვებები, რომლებსაც, მისი აზრით, დაეყრდნობიან ბაზრის მონაწილეები ინსტრუმენტის შეფასების დროს.

*ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები*

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც ფასდება შეფასების მეთოდით ან ფასწარმოქმნის მოდელებით, შედგება არაკოტირებული სავალო ფასიანი ქაღალდებისგან. აღნიშნული ფასიანი ქაღალდები შეფასებულია ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც ეყრდნობა ბაზარზე დაკვირვებად მონაცემებს – ინსტრუმენტის ვადიანობის შესაბამისი საბაზრო განაკვეთები, ვალუტა და ემიტენტის საკრედიტო რისკი.

**ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით**

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რომლებიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა მათი სამართლიანი ღირებულებებისგან.

ქვემოთ მოცემულია მეთოდოლოგია და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებიც არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

**17. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)**

**აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას**

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ეს დაშვება ეხება ცვალებადი განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებსაც. ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საწყისი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სესხების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მსგავს ფინანსურ ინსტრუმენტებზე საწყისი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად.

**18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები**

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. ქვემოთ წარმოდგენილი დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები ეხება სადაზღვევო საქმიანობას, რომელიც ხორციელდება ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობის პირობებში.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	2025			2024		
	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები	სხვა	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები	სხვა
<b>აქტივები</b>						
სადაზღვევო						
ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	-	185	-	-	26	-
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები (ნულის ოდენობის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოკლებით)	-	540	-	-	-	-
	-	<b>725</b>	-	-	<b>26</b>	-
<b>ვალდებულებები</b>						
სადაზღვევო						
ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება	-	-	-	3	-	3
	-	-	-	<b>3</b>	-	<b>3</b>

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

**18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები (გაგრძელება)**

	2025			2024 წ.		
	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებ- ბარებული პირები	სხვა	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებ- ბარებული პირები	სხვა
<b>შემოსავალი და ხარჯები</b>						
სადაზღვევო ამონაგები	15	112	-	-	10	155
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	-	70	-	-	-	-
ინვესტიციის შედეგი	-	25	-	-	-	-
	<b>15</b>	<b>207</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>10</b>	<b>155</b>

ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება (2025: 5 პირი; 2024: 5 პირი) მოიცავდა შემდეგს:

	2025	2024
ხელფასები და პრემიები	10	10
სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	<b>10</b>	<b>10</b>